კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“

ქალთა ხმა 2016

გავმართიანდეთ

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ!

2015-2016 წლების სუპერლიგის გამარჯვებული
საკალათბურთო კლუბი „ქუთაისი-2010“

25 ნოემბერი - 10 დეკემბერი

საერთაშორისო კამპანია

„16 აქტიური დღე ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“

112
გადაუდებელი დახმარება

2 309 903
ოჯახში ძალადობის ცხელი ხაზი

1481
სახალხო დამცველის ცხელი ხაზი

(431) 27 29 02
ფონდი „სოხუმის“ ცხელი ხაზი

იგრძენი პასუხისმგებლობა - შეაჩერე ძალადობა!
ეს უფრო ხშირად ხდება, ვიდრე ჩვენ გვგონია!

www.fsokhumi.ge

2017

	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი
ორშაბათი	2 9 16 23 30	6 13 20 27	6 13 20 27	3 10 17 24	1 8 15 22 29	5 12 19 26
სამშაბათი	3 10 17 24 31	7 14 21 28	7 14 21 28	4 11 18 25	2 9 16 23 30	6 13 20 27
ოთხშაბათი	4 11 18 25	1 8 15 22	1 8 15 22 29	5 12 19 26	3 10 17 24 31	7 14 21 28
ხუთშაბათი	5 12 19 26	2 9 16 23	2 9 16 23 30	6 13 20 27	4 11 18 25	1 8 15 22 29
პარასკევი	6 13 20 27	3 10 17 24	3 10 17 24 31	7 14 21 28	5 12 19 26	2 9 16 23 30
შაბათი	7 14 21 28	4 11 18 25	4 11 18 25	1 8 15 22 29	6 13 20 27	3 10 17 24
კვირა	1 8 15 22 29	5 12 19 26	5 12 19 26	2 9 16 23 30	7 14 21 28	4 11 18 25

	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
ორშაბათი	3 10 17 24 31	7 14 21 28	4 11 18 25	2 9 16 23 30	6 13 20 27	4 11 18 25
სამშაბათი	4 11 18 25	1 8 15 22 29	5 12 19 26	3 10 17 24 31	7 14 21 28	5 12 19 26
ოთხშაბათი	5 12 19 26	2 9 16 23 30	6 13 20 27	4 11 18 25	1 8 15 22 29	6 13 20 27
ხუთშაბათი	6 13 20 27	3 10 17 24 31	7 14 21 28	5 12 19 26	2 9 16 23 30	7 14 21 28
პარასკევი	7 14 21 28	4 11 18 25	1 8 15 22 29	6 13 20 27	3 10 17 24	1 8 15 22 29
შაბათი	1 8 15 22 29	5 12 19 26	2 9 16 23 30	7 14 21 28	4 11 18 25	2 9 16 23 30
კვირა	2 9 16 23 30	6 13 20 27	3 10 17 24	1 8 15 22 29	5 12 19 26	3 10 17 24 31

ქალთა სევა 2016

კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმის“ შემაჯამებელი გამოცემა პროექტის „ქალთა უფლებების გაძლიერება დასავლეთ საქართველოში“ ფარგლებში

ამ სიმბოლოში, რომელიც სპეციალურად ფონდი „სოხუმისთვის“ შექმნა ცნობილმა მხატვარმა ოთარ ქანდარიამ, ყველაფერია ჩატეული, რაც ქალს უკავშირდება: სიხარული, ძლიერება, სევდა, ტკივილი, რწმენა და, რა თქმა უნდა, იმედი...

მისამართი: ქ. ქუთაისი,
მგალობლიშვილის 6
ტელ: 27 29 02
ფაქსი: 27 13 68
ელფოსტა: womansukhumi@gmail.com
ვებგვერდი: www.fsokhumi.ge

ჟურნალი გამოდის ორგანიზაცია (გერმანია) მხარდაჭერით

Brot für die Welt
Brot für die Welt – Evangelischer Entwicklungsdienst

ჟურნალში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციის მოსაზრებებს

პროექტის დირექტორი
ალლა გამახარია

პროექტის კოორდინატორი
ლელა ჯალაღონია

რედაქტორი
ლალი შენგელია

დიზაინი
ლია კოსტავა

ფონდი „სოხუმის“ ქალთა მხარდაჭერის ცენტრები

კოორდინირებული მუშაობა ძალადობის პრევენციისთვის

ფონდი „სოხუმის“ საქმიანობის მთავარი ვექტორი ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისკენ არის მიმართული. ცალკეული ბლოკი კომპლექსურ კავშირშია ერთმანეთთან და ქალთა მხარდაჭერის ექვს ცენტრში მთელი წლის განმავლობაში აქტიური მუშაობის შედეგად გარკვეული მიღწევებიც ფიქსირდება.

ამ სტატიაში ბევრ საინტერესო ქეისს წარმოგიდგენთ - სახელები ყველგან შეცვლილია ბენეფიციარების სურვილებიდან გამომდინარე. სწორედ ამ ისტორიებით გვინდა წარმოვაჩინოთ ცენტრების მუშაობა, მათი მნიშვნელობა და როლი რეგიონებში.

ყოველთვიური სამობილიზაციო შეხვედრები

ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში 11 მობილიზატორი მუშაობს:
ქუთაისის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი - ლარისა შენგელია
ხონის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი - ილონა ნაჭყებია, მაია მანდარია
წყალტუბოს ქალთა მხარდაჭერის ცენტრი - ზაირა კოპალიანი, ელენე ბენიძე
სენაკის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი - დინა გეორგაძე, ვერონიკა ქობალია
ფოთის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი - ნელი უნგიაძე, ციალა გულედანი
ხურჩა / კოკის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი - ნონა ბუკია, დალილა ჩიქავა

მობილიზატორები ყოველთვიურად 33 საინფორმაციო შეხვედრას ატარებენ სხვადასხვა დასახლებაში, კოლექტიურ ცენტრში, სოფლებში. ამ შეხვედრებს განსაკუთრებული დატვირთვა აქვს - ხდება მოსახლეობის ინფორმირება აქტუალურ თემებზე, იკვეთება სოციალური პრობლემები. მობილიზატორები ბენეფიციარებთან ერთად ცდილობენ პრობლემების ადვოკატირებას და წლის მანძილზე ბევრი მათგანი მოგვარდა კიდეც.

> **მობილიზატორის ქეისებიდან**
> ლალი გ. სამობილიზაციო შეხვედრას ესწრებოდა. იმ კორპუსში, სადაც ის ცხოვრობს, სარდაფიდან საშინელი სუნი ამოდიოდა. მეზობლებში ამის გამო კონფლიქტური სიტუაცია შეიქმნა, ყველა ერთმანეთს ადანაშაულებდა და არავინ არაფერს აკეთებდა. ლალიმ მობილიზატორის დახმარებით გაიგო ინფორმაცია, რომ ადგილობრივ დონეზე შეიძლებოდა პრობლემის მოგვარება. დაიწერა განცხადება, მიაკითხეს მერიის შესაბამის განყოფილებას. რეაგირება მაშინვე მოხდა, სპეციალური ბრიგადა გამოიგზავნა. აღმოჩნდა, რომ საკანალიზაციო მილი ერთ ადგილას იყო გაბზარული. ჯერ სარდაფი გაიწმინდა, შემდეგ მილი შეკეთდა და პრობლემაც მოგვარდა.

სამობილიზაციო შეხვედრებს განსაკუთრებული დატვირთვა აქვს იმ თვალსაზრისითაც, რომ ბენეფიციარები იღებენ ინფორმაციებს ადგილობრივ დონეზე არსებული სხვადასხვა პროგრამის შესახებ, რომელსაც შემდგომ თვითონ ავრცელებენ. შედეგად - გაიზარდა მათი რიცხვი, ვინც ისარგებლა ადგილობრივ დონეზე არსებული სხვადასხვა დახმარებით.

მობილიზატორის ქეისებიდან

მარინა სოციალურად დაუცველია, ჰყავს ერთი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე შვილი. მარინასაც ჯანმრთელობის პრობლემები აქვს. გამოკვლევისას დაუდგინეს საშვილოსნოს ფიბრომა. გადაუდებელი ოპერაციის ძირითადი ნაწილი - 80% საყოველთაო დაზღვევით ფინანსდება, მაგრამ მას დარჩენილი 200 ლარის დაფარვის ხარჯებიც არ გააჩნია. სწორედ სამობილიზაციო შეხვედრაზე ისაუბრა მან საკუთარ პრობლემაზე. მობილიზატორმა მიაწოდა ინფორმაცია, რომ ადგილობრივ გამგეობას გააჩნია ერთჯერადი თანხები მსგავსი ტიპი დახმარებისთვის. მარინამ სრულიად უფასოდ გაიკეთა ოპერაცია. ამჯერად რეაბილიტაციის კურსს გადის და საკუთარ ისტორიას სხვებსაც უყვება, რათა არსებული დახმარებით ისარგებლონ იმ ადამიანებმა, ვისაც ეს ნამდვილად სჭირდება.

სოციალურ პრობლემათა ადვოკატირების პარალელურად, საინფორმაციო შეხვედრებზე მთავარი აქცენტი ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციაზე კეთდება. მონაწილეები იღებენ ინფორმაციას, რა სახის დახმარება არსებობს მსხვერპლთათვის, რა უნდა გააკეთოს ქალმა, რომ არ აღმოჩნდეს ძალადობის მსხვერპლი, როგორ დაეხმარონ ძალადობის მსხვერპლს.

კრიზისულ ოჯახებთან მუშაობა

ქალთა მხარდაჭერის ცენტრების მორიგი ბლოკი კრიზისულ ოჯახებთან მუშაობაა. სამობილიზაციო შეხვედრის მონაწილეები ხშირად ყვებიან რეალურ ისტორიებს ისეთ ოჯახებზე, სადაც ქალზე ძალადობენ, მაგრამ ამ ფაქტს თვითონ ოჯახის წევრები არ ახმაურებენ. ამ ბლოკის მუშაობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მობილიზატორები წინასწარ შემუშავებული ინსტრუქტაჟით მოქმედებენ, რაც, პირველ რიგში, კონფიდენციალობას გულისხმობს. ძალადობის მსხვერპლთან მუშაობა სისტემატურად მიმდინარეობს - აწვდიან მას ინფორმაციას საკუთარ უფლებებზე, მოსალოდნელ შედეგებზე, ცდილობენ მოიწვიონ საინფორმაციო შეხვედრებზე, სთავაზობენ ფსიქოლოგისა და იურისტის მომსახურების სერვისს. ამ ბლოკის მუშაობა განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს, რადგან კრიზისულ ოჯახებთან მუშაობას გარკვეული პერიოდი სჭირდება.

ბენეფიციართა ქეისებიდან

3 წელი მქონდა მეუღლესთან კონფლიქტი. ყველაფერი, ძირითადად, სოციალურ პრობლემებს უკავშირდებოდა. ოჯახში მე ვმუშაობდი. ჩემი მეუღლე ხელოსანია და შეკვეთების მიხედვით გადიოდა სამუშაოდ. სიტუაციას ძაბავდა დედამთილი, რომელიც ჩემს ქმარს მუდმივად აქეზებდა. საქმელი შემოგვაკლდებოდა - მე ვიყავი დამნაშავე, სტუმარი მოვიდოდა - მე უნდა მქონოდა ყველაფერი მოწესრიგებული, ბავშვი ავად გახდებოდა და იმაშიც მე მდებდნენ ბრალს, ცუდად უვლიო. ვითმენდი, სანამდის შემეძლო. მერე მეგობარმა ფონდი „სოხუმის“ ფსიქოლოგთან მისვლა მირჩია. ფსიქოლოგის რჩევებმა სხვა ადამიანად მაქცია. გავაცნობიერე, რომ ძალადობის მსხვერპლი ვიყავი, მაგრამ შემეძლო ჩემი თავის გადარჩენა. უფრო ძლიერი და გაბედული გავხდი. ოჯახში ყველას ვაგრძნობინე, რომ ასე ცხოვრების გაგრძელებას არ ვაპირებდი და ოჯახიდან წავიდოდი. პირველ დღეებში კონფლიქტი უფრო გაძლიერდა, ყველა ჩემს წინააღმდეგ განეწყო, მაგრამ ვაიძულე, რომ შემოსავალზეც და გასავალზეც ოჯახის ყველა წევრს ეზრუნა. ახლა ოჯახში სულ სხვა სიტუაციაა. კონფლიქტი თითქმის არ გვაქვს. მე ყველა ქალს ვეუბნები, რომ საკუთარი უფლებები დაიცვას.

სამობილიზაციო შეხვედრებზე ნათლად გამოიკვეთა, რომ აუცილებელია მუშაობა სოფლებში, რადგან ინფორმაციის დეფიციტი პერიფერიებში განსაკუთრებით იგრძნობა. გაიზარდა ქალთა მხარდაჭერის გეოგრაფიული არეალი და მის სამუშაო რუკაზე გაჩნდა სოფლები:

ივანდიდი, კუხი, მათხოჯი, გოჩა ჯიხაიში, ნახახულევი (ხონის მუნიციპალიტეტი)

ბათარია, მენჯი, ნოსირი, ძველი სენაკი, ნოქალაქევი, თეკლათი, ხორში (სენაკის მუნიციპალიტეტი)

გუმბრინი, თერნალი, ქვიტირი, ხომული, ბანოჯა, წყალტუბო (წყალტუბოს მუნიციპალიტეტი)

ხურჩა, კოკი, ორსანტია,ინირი, დიდი ნეძი (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი)

მუშაობის გაფართოების შედეგად გაუმჯობესდა კომუნიკაციის ხარისხი სოფლის გამგეობების წარმომადგენლებთან.

ძალადობის მსხვერპლთან მუშაობა

ძალადობის მსხვერპლ ქალებთან მუშაობა პროექტის ინდიკატორითაა განსაზღვრული, მაგრამ ყველა ქალაქში ერთნაირია საზოგადოებრივი სტიგმა, რომელიც ბლოკავს მსხვერპლს, იაქტიუროს და შეცვალოს რამე. პირიქით, მუდმივად ცდილობს საკუთარი პრობლემის „შეფუთვას“. ამიტომაც ძალადობის პრევენციაში ეს ყველაზე რთული და მნიშვნელოვანი ბლოკია, რომელიც განსაკუთრებულ ძალისხმევას და სისტემატურ მუშაობას მოითხოვს.

ერთ-ერთ ცენტრში მობილიზატორები მსხვერპლთან რამდენიმე თვის განმავლობაში თანამშრომლობდნენ. ის მუდმივად უარს ამბობდა დახმარებაზე და იმეორებდა, რომ ეს მხოლოდ მისი საქმეა და, თუ დახმარება დასჭირდებოდა, თავად გაიგნებდა გზას. მიუხედავად მისი რადიკალური გადაწყვეტილებისა, მობილიზატორები პერიოდულად აკითხავდნენ და აწვდიდნენ ინფორმაციებს, უყვებოდნენ პოზიტიურ მაგალითებს, როგორ დაეხმარნენ და უკეთესობისკენ შეცვალეს ამა თუ იმ ქალის მდგომარეობა. გარკვეული პერიოდის შემდეგ ეს ქალბატონი მობილიზატორს საკუთარი ინიციატივით ესტუმრა და სთხოვა დახმარება, რადგან, მისი თქმით, ყოველდღე უარესდებოდა სიტუაცია მის ოჯახში. მან გაიარა კონსულტაცია ფსიქოლოგთან, იურისტთან, შეისწავლა პრევენციული მექანიზმები. მორიგი კონფლიქტური სიტუაციის დროს პატრული გამოიძახა და სამართალდამცველებს სთხოვა დახმარება. მეუღლეს განემარტა, რომ განმეორების შემთხვევაში საქმე სასამართლოს გადაეცემოდა. ქმარი ერიდება კონფლიქტებს და მდგომარეობაც გამოსწორდა.

განსაკუთრებული ქეისი

ქალბატონმა ნ.-მ ფონდი „სოხუმის“ იურისტს მიმართა კონსულტაციის მისაღებად. მისი არასრულწლოვანი, 15 წლის გოგონა იმყოფებოდა არარეგისტრირებულ ქორწინებაში სრულწლოვან 29 წლის პირთან, რომლის მხრიდანაც შემდგომში გახდა ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი.

როცა ნ.-მ გაიგო თავისი გოგონას გათხოვების შესახებ, მაშინვე მიმართა პოლიციას, სთხოვა მას კანონის ფარგლებში მოქმედება და სურდა შვილის სახლში წაყვანა.
არასრულწლოვანი გოგონა ნებაყოფლობით გაყვა ცოლად მამაკაცს, ამიტომ ის კატეგორიულ უარს ამბობდა შინ დაბრუნებაზე.
რამდენიმე თვის შემდეგ 15 წლის გოგონა არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლის მხრიდან გახდა ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი. გოგონამ მოახერხა მეზობელთან გაქცევა, დაურეკა დედას და აცნობა მომხდარის შესახებ.
დედას შვილი სასტიკად ნაცემი დახვდა. დალურჯებული ქონდა მთელი სახე, დაზიანებული ჰქონდა კბილები. ქალბატონმა დარეკა პოლიციაში, რო-

მელმაც გამოსცა შემაკავებელი ორდერი 30 დღით და მოძალადეს აუკრძალა მსხვერპლთან მიახლოვება და ყოველგვარი კონტაქტი.
მდგომარეობას ამძიმებს ის ფაქტი, რომ მამაკაცი ტუბერკულოზით იყო დაავადებული და მან შეგნებულად, სექსუალური ურთიერთობის შედეგად გადასდო ინფექცია არასრულწლოვან გოგონას. დაავადებას მამაკაცი საგულდაგულოდ მალავდა და მშობლისთვის მოგვიანებით გახდა ცნობილი.
ფონდი „სოხუმის“ იურისტმა მიაწოდა ინფორმაცია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლის მიხედვით, 16 წელს მიუღწეველ პირთან სექსუალური კავშირი, მიუხედავად ნებაყოფლობისა, ისჯება ვადით 7-9 წლამდე პატიმრობით.
ბენეფიციარმა განცხადება შეიტანა პროკურატურაში.
დამნაშავეს შეეფარდა სასჯელი ძალადობის მუხლით, თუმცა აუცილებელია, რომ საქმე აღიძრას 140-ე მუხლით - არასრულწლოვნის მიმართ სექსუალური ურთიერთობისათვის. ამისთვის უნდა ჩატარდეს ექსპერტიზა.
პირველ ეტაპზე ფონდმა „სოხუმმა“ ინფორმაცია მიეწოდა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს, რომელმაც გადაამისამართა ტუბერკულოზით დაავადებულთა ცენტრთან. ის მიიღებს უფასო მედიკამენტოზურ მკურნალობას. ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერით გავიდა სპეციალური სიუჟეტი.
პროცესში ჩაერთო ადამიანით ვაჭრობის, ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა დახმარების სახელმწიფო ფონდი, რომელიც მზადაა, გარკვეული დროით განათავსოს თავშესაფარში და ასევე 300-ლარიანი ერთჯერადი დახმარებით დაეხმაროს დაზარალებულს. ბენეფიციარი გადამისამართდა ქუთაისის მერიაში, ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიიღებს მედიკამენტებს მკურნალობის კურსის გასაგრძელებლად.

ფონდი „სოხუმის“ იურიდიული სამსახური თვალს ადევნებს საქმის მსვლელობას და ყველანაირად მხარს უჭერს ძალადობის მსხვერპლ ქალბატონს, რომ მან შეძლოს სრული რეაბილიტაცია, მოძალადე კი სათანადოდ დაისაჯოს.

ორი წლის განმავლობაში ქალთა მხარდაჭერის ცენტრების დახმარებით იდენტიფიცირებულია ძალადობის მსხვერპლი 7 ქალი - სხვადასხვა ასაკის, სხვადასხვა პრობლემის მქონე, სხვადასხვა რეგიონიდან. მათი ნაწილი მსხვერპლთა თავშესაფარში გადის სარეაბილიტაციო კურსს.

ფსიქოლოგის კონსულტაციები

უფასო იურიდიული და ფსიქოლოგიური მომსახურების სერვისი, რომელიც ქალთა მხარდაჭერის ექვსივე ცენტრში მუშაობს, საკმაოდ ეფექტურია და ძალადობის პრევენციაში ერთ-ერთი სერიოზული ბლოკია. ყველა საკითხი, რომელსაც ბენეფიციარები ფსიქოლოგთან განიხილავენ, ძალადობის შემცირებას ემსახურება. ხშირია ინდივიდუალური მომართვიანობა. პრობლემები ერთმანეთისგან განსხვავებულია: კონფლიქტი ცოლსა და ქმარს შორის, შვილებთან გართულებული ურთიერთობები, სოციალური საკითხები, დაბალი თვითშეფასება...

ფონდი „სოხუმის“ ფსიქოლოგები მანანა გოცირიძე და თამარ კალანდაძე აღნიშნავენ, რომ ქალებს ძალიან ხშირად არა აქვთ სათანადო განათლება, როგორ ააგონ ურთიერთობა ქმართან, შვილებთან, მშობლებთან, ოჯახის წევრებთან. ასეთ დროს კონსულტაციები მათთვის მნიშვნელოვანია, რათა საკუთარი ქმედებებით არ გაამწვავონ კონფლიქტური სიტუაციები. არის შემთხვევები, როცა ფსიქოლოგები მშობლების პარალელურად შვილებთანაც მუშაობენ. ყოველივე ამას ხშირად მოყვება შედეგი.

ფსიქოლოგის ქეისებიდან

კონსულტაციაზე მოვიდა ქალბატონი ივეტა. მას ჰყავს ნაშვილები გოგონა, რომელიც ახლა 17 წლისაა. დედამ შენიშნა, რომ ბავშვს გაუფუჭდა ხასიათი. იფიქრა, ალბათ ვიღაცისგან შეიტყო ინფორმაცია, რომ აყვანილია. დედას ძალიან უნდოდა შვილთან ამ თემაზე საუბარი, მაგრამ ვერ შეძლო. შიშობდა, რომ საქმე უფრო გართულდებოდა. ფსიქოლოგთან კონსულტაციის შემდეგ შეემზადა საუბრისთვის. ძალიან გაუჭირდა, მაგრამ ფსიქოლოგის რჩევები კარგად გაითვალისწინა და ესაუბრა შვილს. შედეგი მოულოდნელი აღმოჩნდა - ბავშვმა პირველი ემოციების შემდეგ დედ-მამა გადაკოცნა და მადლობა გადაუხადა ყველაფრისთვის. როგორც გაირკვა, გოგონას ეჭვი ჰქონდა, რომ დედა და მამა არ იყვნენ მისი ბიოლოგიური მშობლები. ამის გარკვევა უჭირდა, ხასიათის ცვლილებაც ამიტომ დაეტყო. ახლა ყველაფერი წესრიგშია.

ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში განსაკუთრებული მოთხოვნაა იურისტებზე. ამჟამად ფონდ „სოხუმში“ 4 იურისტი მუშაობს:

ქუთაისის, ხონის და ხურჩა / კოკის ქალთა მხარდაჭერის ცენტრები - თამარ გოგოხია

წყალტუბოს ქალთა მხარდაჭერის ცენტრი - ბელა ბერაძე

სენაკის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი - მარიკა ხელაია

ფოთის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი - თინათინ ხიზანიშვილი

ბენეფიციარები იურისტებისგან ყოველთვიურად იღებენ მნიშვნელოვან ინფორმაციას სხვადასხვა სამართლებრივ ნორმაზე, განქორწინებასთან დაკავშირებულ პროცედურებზე, კონკრეტული უფლებების დარღვევაზე, სოციალურ საკითხებზე, დევნილთა განსახლების თემაზე...

საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრებზე ხდება პრობლემების დასმა. არის საკითხები, რომლებიც იურისტების დახმარებით გვარდება. ზოგი სიტუაციის მოწესრიგებას გარკვეული დრო და ეტაპები სჭირდება. მაგალითად, ერთ-ერთ დევნილ ოჯახს აპლიკაციის შევსების შემდეგ მოუვიდა დაბალი ქულები და, შესაბამისად, ამ ეტაპზე ვერ მიიღებს ბინას. იურისტმა ურჩია, მიმართოს დევნილთა სამინისტროს, კონკრეტულად აღწეროს თავისი ოჯახის მდგომარეობა, რომ ჰყავს ფსიქიკურად ავადმყოფი მეუღლე, არის სოციალურად დაუცველი და ხელახლა მოხდეს აპლიკაციის გადამოწმება. მომზადდა წერილი და ყველა საჭირო დოკუმენტი. ამ შემთხვევას იურისტი ბოლომდე გაუწევს ლობირებას. ასეა ყველა ცენტრში - მსგავსი ქეისები იურისტების კონტროლის ქვეშაა და ისინი საჭიროების შესაბამისად მოქმედებენ.

იურისტის ქეისებიდან

იურისტს დახმარებისთვის მიმართა ქალბატონმა. მის ძმას და რძალს სურთ, მშობლების დატოვებული ქონება მთლიანად მიისაკუთრონ. იურისტმა განუმარტა, რომ ის მშობლების ქონების ერთ-ერთი თანამფლობელია და იურიდიულად შეუძლია ამის დამტკიცება. საქმე სასამართლოში იქნა განხილული - საბოლოო გადაწყვეტილებით, ქონება ორ ნაწილად გაიყო და ქალმა ნახევარი წილი მიიღო.

ქუთაისი - აქცია სიყვარულის დღეს

წყალტუბო - აქცია მშვიდობის დღეს

სენაკი - აქცია მშვიდობის დღეს

ქუთაისი - გამოფენა დევნილთა დღეს

ქუთაისი - სამობილიზაციო შეხვედრა

ხონი - დახმარება სოციალურად დაუცველ ოჯახს

ახალგაზრდული კლუბები ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში

ახალგაზრდებთან მუშაობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფონდ „სოხუმში“. სწორედ ამიტომაა მხარდაჭერის ყველა ცენტრში შექმნილი ახალგაზრდული კლუბები. ეს არის ენერგიული, აქტიური, ინიციატივიანი გოგო-ბიჭების გაერთიანება. ისინი თვეში ერთხელ იკრიბებიან ქალთა მხარდაჭერის ცენტრში ან რომელიმე სკოლაში. კლუბის წევრებისა და მოხალისეების რიცხვი მუდმივად იზრდება.

საინფორმაციო შეხვედრებზე განიხილება სხვადასხვა საკითხი: გენდერული ძალადობა, ტოლერანტობა, ბულინგი, ეთიკა და ესთეტიკა, პიროვნული კულტურა, ტრეფიკინგი, სქესობრივი აღზრდა... თემები აქტუალურია ექვსივე რეგიონისთვის, შეხვედრებზე ხშირად იკვეთება და შემდგომ ხორციელდება კონკრეტული ინიციატივები. მაგალითად, წყალტუბოს ახალგაზრდული კლუბის საინიციატივო ჯგუფმა სოფელ თერნალში ძალადობის საკითხებზე ჩაატარა საინფორმაციო შეხვედრა, სოფელ ქვიტირში კი - ბულინგის თემაზე.

ფოთის მეოთხე სკოლის ახალგაზრდებმა მოაწყვეს საქველმოქმედო ღონისძიება. შეგროვდა გარკვეული თანხა, რომელიც გადაეცათ ბავშვებს სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან.

ახალგაზრდები ხშირად ატარებენ დისკუსიას თემაზე „როგორ ვმართოთ კონფლიქტი“. წყალტუბოში გაიმართა თემატური კონკურსი „არ მინდა ვიყო მსხვერპლი“. სენაკის მე-7 სკოლაში მოსწავლეებმა გადაწყვიტეს წერითი კონკურსის მოწყობა თემაზე „რამდენად ტოლერანტული ვარ“. სენაკის ახალგაზრდული კლუბის წევრები მონაწილეობდნენ პროექტის „დემოკრატიული ლაბორატორია“ დაწერაში. კოკის ახალგაზრდული კლუბის წევრებმა კი მონაწილეობა მიიღეს ესეების კონკურსში „მე და ჩემი უფლებები“. წყალტუბოში ჩამოყალიბდა ეკოლოგიური კლუბი: „ნიამორი“, რომელიც ცხოვრების ჯანსაღი ცხოვრების წესს უწევს პროპაგანდას ახალგაზრდებში. ქუთაისის ჯგუფი აქტიურად ჩაერთო პროექტში „ევროკავშირი ჩვენს ქალაქში“. ქუთაისის ახალგაზრდულმა კლუბმა ერთი ღონისძიება „ოჯახის დღეს“ მიუძღვნა. ევროპის დღე აღნიშნეს ქუთაისის 23-ე და 30-ე სკოლის მოსწავლეებმა, რომლებიც კლუბის წევრები არიან.

წყალტუბოში დედამიწის დღესთან დაკავშირებით მოეწყო ცენტრალური პარკის დასუფთავების აქცია. სოფელ კოკის ახალგაზრდულ კლუბს შეუერთდნენ სოფელ ორსანტიის (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) მოსწავლეები.

მარტში ახალგაზრდული კლუბების მუშაობა განსაკუთრებით გააქტიურდა. ფონდმა „სოხუმმა“ გამოაცხადა კონკურსი დასავლეთ საქართველოს 6 რეგიონის პარტნიორი სკოლებისთვის მთავარი მესიჯით „ქალთა სოლიდარობა - უკეთესი მომავლისათვის“. კონკურსის ფარგლებში ჩატარდა აქციები, საინფორმაციო შეხვედრები, ფორუმ-თეატრის ჩვენებები, ესეების კონკურსი, ნახატების გამოფენები... ერთ-ერთი მთავარი პირობა იყო, რაც შეიძლება მეტი მონაწილის ჩართვა ღონისძიებებში.

მონაწილე სკოლის მოსწავლეებმა პედაგოგებთან ერთად ფონდი „სოხუმის“ ოფისში წარმოადგინეს პრეზენტაციები. 7-კაციანმა ჟიურიმ შეაფასა მათი ნამუშევარი კრეატიულობის, პრეზენტაბელურობის, ინფორმაციულობის, თვალსაჩინო მასალების და ჩართულ მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით. 1-ლ ადგილზე გავიდა ოტია იოსელიანის სახელობის №1 საჯარო სკოლა (წყალტუბო), მე-2 ადგილი აიღო ჟიული შარტავას სახელობის №6 საჯარო სკოლამ (ქუთაისი), ხოლო მე-3 ადგილი - კოკის საჯარო სკოლამ (ზუგდიდი).

26 ნოემბერს ექვსივე ახალგაზრდული კლუბის 28 წევრისთვის ქუთაისში, ფონდი „სოხუმის“ ოფისში გაიმართა მწვრთნელთა მოსამზადებელი ტრენინგის 1-ლი ეტაპი თემაზე „გენდერი და გენდერული ძალადობა“.

მუშაობა ორ ჯგუფში წარიმართა. იყო დიდი ინტერესი თემების მიმართ, ინდივიდუალური და ჯგუფური სავარჯიშოები, ფილმის ჩვენება, საუბარი ტრადიციებზე, სტერეოტიპებზე.

უკუკავშირის დროს გაირკვა, რომ ახალგაზრდები ჩაწვდნენ გენდერის არსს, მათ გაუჩნდათ სურვილი, თავადაც გახდნენ მწვრთნელები. ტრენინგის აქტიური მონაწილეებისთვის გაიმართე-

ბა შემდგომი ეტაპები. ამგვარად, ფონდ „სოხუმში“ ჩამოყალიბდება დასავლეთ საქართველოს 6 რეგიონის ახალგაზრდა მწვრთნელთა ჯგუფი, რომელიც იმუშავებს გენდერისა და ძალადობის საკითხებზე.

ახალგაზრდული კლუბების წევრები ჩაერთნენ კამპანიაში „16 აქტიური დღე ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“ - მათ ჩაატარეს 30-მდე აქტივობა: ვორკშოპები, აქციები, საინფორმაციო შეხვედრები.

2016 წლის განმავლობაში კიდევ ბევრი რამ იყო საინტერესო ქუთაისის, წყალტუბოს, ხონის, სენაკის, ფოთის და ხურჩა/კოკის ახალგაზრდულ კლუბებში. ყოველივე ეს ხელს უწყობს ახალგაზრდებში არაძალადობრივი კულტურის დანერგვას.

ვორკშოპები კონფლიქტოლოგიაში

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბლოკი არის კონფლიქტოლოგიის ვორკშოპები, რომლებიც ყოველთვიურად იმართება ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში.

ძალადობის პრევენცია, პირველ რიგში, გულისხმობს ოჯახში კონფლიქტური სიტუაციების ლოკალიზებას. ეს ინფორმირებით, განათლების დონის ამაღლებით არის შესაძლებელი. ვორკშოპების დროს მონაწილეები კონფლიქტების მართვის უნარ-ჩვევებს გამოიმუშავებენ და ეს მნიშვნელოვნად ამცირებს ძალადობის განვითარების რისკს ოჯახში.

ვორკშოპებზე ყოველთვის საინტერესო, აქტუალური და მონაწილეებისთვის საჭირო თემები განიხილება: ქალთა სოლიდარობა, ოჯახური კონფლიქტების მართვა, მიგრაცია, პიროვნული კონფლიქტების გარჩევა, თვითშეფასება და მისი გავლენა ოჯახურ კონფლიქტებზე...

ვორკშოპები ტარდება ახალგაზრდებისა და ქალების ჯგუფთან. განსახილველი თემები ორივე ასაკობრივ ჯგუფში ერთნაირად მაღალ რეზონანსს იწვევს. მონაწილეების აზრით, საზოგადოება სრულყოფილი ვერ იქნება, თუ ადამიანებმა არ იციან კონფლიქტის მართვა. ყველას ჰგონია, რომ კონფლიქტურ სიტუაციაში დამნაშავე მუდამ სხვა არის, რაც აძლიერებს კონფლიქტის დინამიკას. ბევრი მათგანი მიღებულ რჩევას, ვორკშოპზე განხილულ მეთოდს პრაქტიკაშიც იყენებს და ეს ოჯახური კონფლიქტების შემცირების საუკეთესო გზაა.

ასისტენტის ქეისებიდან
ვორკშოპის ერთ-ერთი მონაწილის ნაამბობი: პატარა კონფლიქტები ყველა ოჯახშია, მაგრამ ჩემთან განსაკუთრებით ხშირად იყო. მეუღლე არ მუშაობს, კონფლიქტი ყოველთვის ამაზე მოგვდიოდა. სულ მე ვიწყებდი, ერთმანეთს თავდაუზოგავად ვლანძღავდით, მაგრამ ამით მდგომარეობა არ იცვლებოდა. რამდენიმე ვორკშოპს დავესწარი. გადავწყვიტე, შემეცვალა მოქმედების ტაქტიკა ოჯახში - მეუღლეს დავხმარებოდი სამუშაოს პოვნაში. ახლობელმა მითხრა, რომ ერთ-ერთი კერძო მეწარმე დარაჯს ეძებდა. სასწრაფოდ მივედი, გავესაუბრე, პირობები კარგი იყო, შემდეგ მეუღლესაც ავუხსენი, რომ კარგი შანსი გამოჩნდა. მართალია, ხელფასი დიდი არ არის, მაგრამ ეს მცირე შემოსავალიც საკმარისი აღმოჩნდა ჩემს ოჯახში კონფლიქტის ხანის დასრულებისა და სიმშვიდისთვის.

მინი პროექტების დამოუკიდებლად განხორციელების პრაქტიკა

2016 წელს ფონდი „სოხუმის“ ქალთა მხარდაჭერის ცენტრების საქმიანობაში ახალი ეტაპი დაიწყო. მათ დამოუკიდებლად დაიწყეს პროექტების განხორციელება საკუთარ ბენეფიციარებთან, საკუთარ გეოგრაფიულ არეალში.

ხონი - იურისტის კონსულტაცია

ხურჩა - ფსიქოლოგის კონსულტაცია

კოკი - სოლიდარობის დღისადმი მიძღვნილი მრგვალი მაგიდა

ფოთი - ვორკშოპი
კონფლიქტოლოგიაში

ხონი - ფსიქოლოგის კონსულტაცია

სენაკი - მრგვალი მაგიდა

ქუთაისი - ტრენინგი ახალგაზრდული კლუბების
წევრთათვის

წყალტუბო - ახალგაზრდული კლუბი

ქუთაისის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი

„მდიდარი წარსულით - მდიდარი მომავლისკენ“ - ეს იყო პირველი პროექტი, რომლის ინიციატორი ქუთაისის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი გახდა. პროექტის ფარგლებში 20 ივნისს, დევნილთა საერთაშორისო დღეს ქუთაისში, „თიბისი გალერეაში“ იმ არასამთავრობო ორგანიზაციების გამოფენა გაიმართა, რომლებიც დევნილთა საკითხებზე მუშაობენ.

შედეგად:

- ღონისძიებამ გააერთიანა საზოგადოების სხვადასხვა სპექტრი, ადგილობრივი სამთავრობო და არასამთავრობო ხელისუფლება, სამოქალაქო აქტივისტები, კერძო მეწარმეები და ყველას კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ აფხაზეთის თემა მტკივნეულია და რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც დღემდე ცხოვრობენ კოლექტიურ ცენტრებში, ნორმალური პირობების გარეშე.
- გამოფენის მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ, ქალთა ავტორობით შესრულებული ნამუშევრები დაეთვალიერებინათ - გობელენი, თექა, თემატური ნახატები, ხელით შექმნილი სამკაულები. იქვე, ადგილზე გაიყიდა რამდენიმე ნაწარმი. დამთვალიერებლებმა ჩაიწერეს მეწარმე ქალების საკონტაქტო ნომრები.
- ღონისძიება გაშუქდა ტელეკომპანია „რიონის“ ეთერით, რაც იძლევა იმის საფუძველს, რომ დევნილთა თემა პრიორიტეტული გახდეს ადგილობრივი მედიისთვის.

წყალტუბოს ქალთა მხარდაჭერის ცენტრი

„ცოდნით ვძლიოთ ძალადობას“ - ამ პროექტით წყალტუბოს ქალთა მხარდაჭერის ცენტრის ბენეფიციარები ორ სოფელში: ხომული და წყალტუბო - საზოგადოების ინფორმირებით შეეცადნენ ძალადობის პრევენციას.

2 ტრენინგი, 4 საინფორმაციო შეხვედრა ქალებთან, 2 შეხვედრა სოფლების ხელმძღვანელებთან - ეს პროექტით გაწერილი აქტივობებია.

შედეგად:

- პირველად მოხდა ამ სოფლებში მცხოვრები თემის ინფორმირება ოჯახში ძალადობის საკითხებზე. პირველად ისაუბრეს მსხვერპლთა დახმარების პრევენციულ მექანიზმებზე, გაიცნობიერეს საკუთარი ფუნქციები და რა უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ არ აღმოჩნდნენ მსხვერპლის მდგომარეობაში.
- მობილიზატორებმა მიიღეს ტრენინგების დამოუკიდებლად ჩატარების გამოცდილება.
- სოფლის ხელმძღვანელობამ რეალურად დაადასტურა თანამშრომლობის მზადყოფნა, გამოყო ოთახი ტრენინგის ჩასატარებლად. პასუხისმგებლობა აიღო ჯგუფის შეკრებაზე.
- ინფორმირების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო შეხვედრა სამიზნე ჯგუფთან, რომელსაც საკუთარი როლის გაძლიერება შეუძლია ძალადობის პრევენციაში. ესენი არიან: სოფლის გამგებელი, სამედიცინო პერსონლი, ბიბლიოთეკის გამგე, სკოლის პედაგოგები. შეხვედრაზე შემუშავდა რეკომენდაცია, აქტიურად ჩაერთოს სოფლის გამგეობა.
- საინფორმაციო შეხვედრის შემდეგ სოფლის ახალგაზრდობის ჩართულობით მოეწყო შაბათობა - გაიწმინდა სანიაღვრე არხი.

ხონის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი

„ინფორმირებული ქალები ცვლიან სამყაროს“ - ხონის ქალთა მხარდაჭერის ცენტრმა აღნიშნული პროექტი ნახახულევის, მათხოჯის და კუხის ადმინისტრაციულ ერთეულებში განახორციელა. პროექტის ფარგლებში ჩატარდა 3 საინფორმაციო შეხვედრა სოფლებში, 2 შეხვედრა საკრებულოსა და გამგეობაში. აქტივობები მიზნად ისახავდა ქალთა ინფორმირებას ძალადობის პრევენციულ საკითხებზე.

შედეგად:

- საინფორმაციო შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 78 ადამიანმა. ამდენივე ადამიანი მზად არის, საკუთარი წვლილი შეიტანოს ძალადობის პრობლემის მოგვარებაში, რადგან ინფორმირება პრევენციაში მნიშვნელოვანი ნაწილია.
- პროექტით დაინტერესდნენ არა მხოლოდ მოქალაქეები, მასში აქტიურად იყვნენ ჩართული სოფლის ხელმძღვანელები, გაფართოვდა თანამშრომლობა ქალთა მხარდაჭერის ცენტრსა და სოფლის ხელმძღვანელებს შორის.
- ადგილობრივი თემის ხელმძღვანელები წარმატებული პარტნიორობისათვის დაჯილდოვდნენ სპეციალური სიგელებით, რამაც მათ მოტივაცია აუმაღლა მომავალი თანამშრომლობისთვის.
- საინფორმაციო შეხვედრებიდან 2 ბენეფიციარი დაინტერესდა ფსიქოლოგის კონსულტაციით და ინდივიდუალურ შეხვედრაზე ჩაეწერა.

ფოთის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი

„ძალადობის პრევენცია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზებით“ - ფოთის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი სპორტული შეჯიბრებების ორგანიზებით შეეცადა ძალადობის პრევენციას. პროექტი მიზნად ისახავდა არაძალადობრივი გარემოს შექმნას ახალგაზრდებში და დევნილი ბავშვების ინტეგრაციას ადგილობრივ თემთან.

შედეგად:

- პროექტში ჩართულნი იყვნენ დევნილი და ადგილობრივი ბავშვები, რაც მათი ინტეგრირებისთვის კარგ საფუძველს ქმნის.
- დევნილმა ბავშვებმა წარმოაჩინეს თავიანთი შესაძლებლობები და რესურსები.
- მოხდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ჩართულობა და ინტეგრირება.
- პროექტის ფარგლებში დაიბეჭდა პოსტერები.
- ღონისძიებაზე მოწვეულნი იყვნენ სტუმრები ადგილობრივი თვითმმართველობიდან, სპორტსმენები, მშობლები, ქალაქის საპატიო ადამიანები, რამაც ხელი შეუწყო ღონისძიების მასშტაბურობას.

სენაკის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი

სენაკის ქალთა მხარდაჭერის ცენტრმა ძალადობასთან ბრძოლა ახალგაზრდების ინფორმირებით გადაწყვიტა. განახორციელა პროექტი „ახალგაზრდები ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“. პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტის სამი სოფლის - ნოსირის, ძველი სენაკის და ნოქალაქევის საჯარო სკოლებში ჩატარდა ვორკშოპები თემაზე „გენდერი და გენდერული ძალადობა“.

შედეგად:

- მოხდა ახალგაზრდების შეხედულებების და მათი დამოკიდებულებების განსაზღვრა გენდერისა და გენდერული ძალადობის საკითხებზე.
- გაჩნდა ახალი ინიციატივები, აღნიშნულ თემაზე გაგრძელდა დისკუსიები მიმდებარე სოფლებში.
- ნოსირსა და ძველ სენაკში მოსწავლეებმა აქციების ორგანიზება შეძლეს მოწოდებებით „არა - ძალადობას!“
- პროექტზე მუშაობის პერიოდში გაიზარდა პედაგოგებთან თანამშრომლობის ხარისხი

ხურჩა/კოკის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი

„ოჯახი ძალადობის გარეშე“.- ხურჩის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი ამ პროექტით ინფორმირებულობის ხარისხის ამაღლებას შეეცადა ზუგდიდის სამ სოფელში: დიდი ნეძი, ორსანტია, ინგირი. სამივე სოფელში მოეწყო ფილმის ჩვენება და დისკუსია. პროექტი დასრულდა მრგვალი მაგიდით, რაშიც სამივე სოფლის ბენეფიციარებმა მიიღეს მონაწილეობა.

შედეგად:

- პროექტში ჩართული იყო სამი სოფლის ბენეფიციარები, რამაც გაზარდა ინფორმირებული ადამიანების გეოგრაფიული არეალი.
- ფილმის ჩვენება ეფექტური გამოდგა მონაწილეებისათვის, ისინი ჩაწვდნენ ძალადობის არსს, გააცნობიერეს პრობლემის მასშტაბურობა.
- შემაჯამებელ მრგვალ მაგიდაზე მოწვეულნი იყვნენ სოფლის ხელმძღვანელები, მათი მხრიდან თანამშრომლობისთვის მზადყოფნა დაფიქსირდა.

მინი პროექტები საერთაშორისო კამპანიის „16 აქტიური დღე ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“ ფარგლებში

ქალთა მხარდაჭერის ცენტრები აქტიურად ჩაერთნენ საერთაშორისო კამპანიაში - სამობილიზაციო შეხვედრები მიეძღვნა ამ თემას. ცენტრებმა მიიღეს მონაწილეობა ფონდი „სოხუმის“ მიერ ქუთაისში, ხონში, წყალტუბოში, სენაკში, ფოთსა და ზუგდიდში ორგანიზებულ აქციებში. მობილიზატორებმა და აქტივისტებმა ჩაატარეს საინფორმაციო შეხვედრები ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან, ინკლუზიურ ცენტრებში, ახალგაზრდებთან...

ეს კამპანია განსაკუთრებული გახდა ქალთა მხარდაჭერის ცენტრებისთვის იმით, რომ მათ შეიმუშავეს მინი პროექტები. პროექტები საინტერესო გამოდგა და კიდევ უფრო გააძლიერა ცენტრების იმიჯი თავიანთ რეგიონებში.

ორიგინალურად, ველოსიპედებით ჩაერთნენ ახალგაზრდები საერთაშორისო კამპანიაში „16 აქტიური დღე ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“. ღონისძიება ჩატარდა ხურჩა / კოკის ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მცირე პროექტის „ახალგაზრდები ძალადობის წინააღმდეგ“ ფარგლებში. კოკი-ხურჩას მონაკვეთზე გამართულ აქცია-ველორბოლაში მონაწილეობა მიიღეს გოგონებმა და ბიჭებმა კოკიდან, ხურჩიდან, ორსანტიიდან (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) და ნაბაკევიდან (გალის მუნიციპალიტეტი). ასე გამოხატეს მათ პროტესტი ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ.

ქუთაისის ქალთა მხარდაჭერის ცენტრმა გენდერული ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიას მიუძღვნა პროექტი, რომლის ფარგლებშიც მოხდა ფილმი-სიუჟეტის გადაღება. ფილმში საუბარია ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მუშაობაზე, ძალადობის პრობლემაზე, გამოსავალზე.

პროექტის დასასრულს გაიმართა პრეზენტაცია, ნაჩვენები იქნა ფილმი-სიუჟეტი. შეხვედრაზე მოწვეულნი იყვნენ ქუთაისის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრები, ფონდი „სოხუმის“ აქტივისტები, პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციების და მასმედიის წარმომადგენლები. აქტიურმა დისკუსიამ ნათლად წარმოაჩინა პრობლემის აქტუალობა და თითოეული ადამიანის სურვილი, მეტი გააკეთოს ძალადობის პრევენციისათვის.

ხონის ქალთა მხარდაჭერის ცენტრმა შეიმუშავა პროექტი „ქალები ამსხვრევენ სტერეოტიპებს“. როგორც პროექტის ანოტაციაშია ნათქვამი, ხონის სამხედრო დასახლების კოლექტიურ ცენტრში ქალების უმეტესობა პასიურია. მათ არა აქვთ ინფორმაცია გენდერულ ძალადობაზე.

პროექტში სწორედ ის ქალები ჩაერთნენ, რომლებიც არ ესწრებიან ქალთა მხარდაჭერის ცენტრის ღონისძიებებს. გაიმართა ქალების ჩემპიონატი ნარდში. ამით დაიმსხვრა ერთ-ერთი სტერეოტიპი, რომლის მიხედვითაც სპორტული თამაშები ბევრს მამაკაცის საქმედ მიაჩნია.

ჩემპიონატს დაესწრნენ ხონის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები. პროექტის ფარგლებში დაიბეჭდა პოსტერ-კალენდარი, რომელზეც აღბეჭდილია 2016 წლის იმერეთის მოყვარულთა ლიგის გამარჯვებული - საფეხბურთო კლუბი „აფხაზეთი“. განსაკუთრებით შთამბეჭდავია პოსტერის სლოგანი „ჩვენ ვგმობთ ძალადობას!“

ჩემპიონატის მონაწილეებს გადაეცათ კალენდრები და საინფორმაციო ფურცლები. ყველა ეთანხმება აზრს, რომ ძალადობა დასაგმობია და ყველაფერი უნდა გაკეთდეს ძალადობრივი შემთხვევების შემცირებისათვის.

წყალტუბოს ქალთა მხარდაჭერის ცენტრმა კამპანიის სახედ აირჩია რაგბისტთა კლუბი „დინოზავრები“.

პროექტს „არა - ქალთა მიმართ ძალადობას!“ უძღოდა მოსამზადებელი მუშაობა - საინფორმაციო შეხვედრები კლუბ „დინოზავრების“ და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან. დაიბეჭდა საინფორმაციო ფურცლები და პოსტერ-კალენდარი რაგბისტების ფოტოსურათით. იგეგმებოდა აქტივობები სტადიონზე, მაგრამ უამინდობის გამო ამ პერიოდში მატჩი არ გამართულა. ამიტომაც მოხდა პროექტის კორექტირება - ცენტრის აქტივისტებმა ჩაატარეს ორი ღონისძიება. ერთი - საინფორმაციო შეხვედრა საბავშვო ბაღის აღსაზრდელების მშობლებთან, 3 დეკემბერს კი - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საერთაშორისო დღეს - წყალტუბოს ინკლუზიურ ცენტრში. აქ გაიმართა ნახატების კონკურსი „ოჯახი ძალადობის გარეშე!“

შეხვედრების ყველა მონაწილემ მიიღო ინფორმაცია კამპანიის შესახებ, განსაკუთრებით იმის თაობაზე, როგორ მოქმედებს ძალადობა ბავშვის ფსიქიკაზე. მონაწილეთა თქმით, ეს შეხვედრები აქტუალური და სასარგებლო იყო.

10 დეკემბერი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღეა. ამ დღეს სრულდება კამპანია „16 აქტიური დღე ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“. სწორედ ამ თარიღს დაუკავშირა ფოთის ქალთა მხარდაჭერის ცენტრმა მინი პროექტი „ჯანსაღი ცხოვრება - არაძალადობრივი საზოგადოებისათვის“.

ცენტრის აქტივისტებმა ჩაატარეს მოსამზადებელი მუშაობა, დაბეჭდეს პოსტერი-კალენდარი მოწოდებით „გავერთიანდეთ ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ!“. პოსტერის ფოტოზე არის ქალაქ ფოთის ჭიდაობის სკოლის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა გუნდი „ფალავანი“.

ქალთა მხარდაჭერის ცენტრმა 10 დეკემბერს ორგანიზება გაუკეთა შეჯიბრებას ჭიდაობაში. დარიგდა საინფორმაციო მასალები - ყველამ გაიგო 16-დღიანი კამპანიის შესახებ და იმაზეც, რომ შეუძლია და უნდა შეიტანოს წვლილი ძალადობის პრევენციის პროცესში. ეს იყო პროექტის ფინალური ღონისძიება - საინტერესო, შთამბეჭდავი და საკმაოდ ეფექტური.

ქალების ინფორმირება, მათი გაძლიერება, სოციალური პრობლემების ადვოკატირება, კონფლიქტის მოგვარების უნარ-ჩვევებზე მუშაობა, ფსიქოლოგის და იურისტის კონსულტაციები, თანამშრომლობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან - ეს იმ ერთიანი დიდი ჯაჭვის ცალკეული რგოლებია, რომელთა კოორდინაცია და ერთიანობა ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციას ემსახურება ქუთაისის, ხონის, წყალტუბოს, სენაკის, ფოთის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში.

ასე დასრულდა კიდევ ერთი სამუშაო წელიწადი ფონდი „სოხუმის“ ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში - ნაყოფიერი, აქტიური, მრავალფეროვანი, შედეგიანი...

ხათუნა გოგუა

ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის შედეგები

- აღფრთოვანებული ვარ იმ საქმიანობით, რომელსაც ეწევით. მართლაც შთამბეჭდავია და ეფექტური. გენდერული საკითხები ყველასთვის არ არის საინტერესო, ამიტომ კარგად ვიცი, რამდენად რთულია ამ კუთხით მუშაობა. თქვენ ძალიან წარმატებით თანამშრომლობთ ადგილობრივ ხელისუფლებასთან. გისურვებთ წარმატებებს! სასურველია თქვენი საქმიანობა არა მხოლოდ ადგილობრივ, ცენტრალურ დონეზეც განვითარდეს, თქვენ ამისთვის ყველანაირი რესურსი გაგაჩნიათ, - ასეთი სიტყვებით შეაფასა ჩვენი საქმიანობა კარსტა ნეუნროფმა, ჩვენი დონორი ორგანიზაციის წარმომადგენელმა, მრჩეველმა გენდერულ საკითხებში.

ადვოკატირება და მოგვარებული პრობლემები

2016 წელი ფონდი „სოხუმის“ ქალთა მხარდაჭერის ექვსი ცენტრისათვის მეტი დამოუკიდებლობის, მეტი ინიციატივებისა და თვითმმართველობებთან თანამშრომლობის ტრადიციის ახალი ფორმატებით გაგრძელების წელი იყო.

ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში ტრადიციულად მიეწოდებოდა ბენეფიციარებს სოციალური სერვისები ფსიქოლოგიური და იურიდიული კონსულტაციის სახით; ცენტრების მობილიზატორების მხრიდან იყო სისტემატიური კომუნიკაცია მოქალაქეთა ჯგუფებსა და თვითმმართველობას შორის, რაც გამოიხატებოდა თემის სხვადასხვა ჯგუფისთვის ადგილობრივი სოციალური პაკეტების შესახებ სასურველი ინფორმაციის მოპოვებაში, ამ პროგრამებით სარგებლობის ხელშეწყობასა და თვითმმართველობებთან დიალოგის გაღრმავებაში.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობას მოქალაქეთა ინფორმირების და პრობლემათა ადვოკატირების მიზნით.

მოქალაქეთა ინფორმირება ადგილობრივ დონეზე არსებული სერვისების თაობაზე განსაკუთრებით აქტუალური აღმოჩნდა რეგიონში მცხოვრები ბენეფიციარებისთვის. ამ მიზნით ცენტრის მობილიზატორები აგრძელებენ თანამშრომლობას ადგილობრივ თვითმმართველობებთან, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ბენეფიციარების ინფორმირების დონე, მათი ჩართვა თვითმმართველობაში.

მობილიზატორები ხშირად ესწრებოდნენ საკრებულოს სხდომებს, ხვდებოდნენ სხვადასხვა სამსახურის წარმომადგენლებს, საკრებულოს დეპუტატებს. შეხვედრების შედეგად - სახელისუფლებო სტრუქტურებისთვის ხელმისაწვდომი იყო ინფორმაცია ქალთა მხარდაჭერის ცენტრების საქმიანობაზე, მოქალაქეების სასიცოცხლო საჭიროებებზე. გარდა ამისა, მათ სისტემატიურად მიეწოდებოდათ ინფორმაცია საკანონმდებლო ცვლილებებზე, რაც ძალადობის პრობლემის პრევენციასა და მსხვერპლთა დახმარების პროცესში ადგილობრივი თვითმმართველობის აქტიურ ჩართვას შეეხებოდა.

ქალთა მხარდაჭერის ცენტრებსა და ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის თანამშრომლობამ და სხვადასხვა დონის შეხვედრებში მონაწილეობამ ხელი შეუწყო ინფორმაციის გაცვლის ახალ ხარისხს. შეიძლება ითქვას, რომ საგრძნობლად გაიზარდა ცენტრების იმიჯიც.

ყველაზე საინტერესო ისაა, რომ მობილიზატორების დახმარებით ბენეფიციარებში არის მეტი სურვილი, თავად ჩაერთონ საკუთარი პრობლემების მოგვარების პროცესში. სათანადო ინფორმირებულობამ მათ მეტი ნდობა გაუჩინა სახელმწიფო სტრუქტურების მიმართ, დაინახეს, რომ აქტიური თანამშრომლობით შესაძლებელია საკუთარი ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.

ცენტრების საქმიანობაში ხშირია სოციალური ადვოკაცია მოქალაქეთა პრობლემების მოგვარების მიზნით; განცხადებები, წერილები სხვადასხვა სამსახურში, რადგან ხშირად მოქალაქეებ-

მა არ იციან, როგორ მოიქცნენ კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად, ვის მიმართონ. ასეთ დროს მობილიზატორები აქტიურად ერთვებიან საქმეში და აძლევენ მიმართულებას, ერთად ამზადებენ წერილებს, ყველაზე მოწყვლად კატეგორიას შესაბამის სამსახურებშიც კი მიჰყვებიან.

მობილიზატორების დახმარებით მოხდა არაერთი პრობლემის გადაწყვეტა; მაგალითად - მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების კრიტერიუმების შეცვლის შესახებ ინფორმაციის მიწოდების შემდეგ (ქუთაისი, სენაკი), ცენტრების მობილიზატორების დახმარებით რამდენიმე ოჯახი გახდა პროგრამის მოსარგებლე. არაერთმა მოქალაქემ მიიღო თანადაფინანსება ჯანმრთელობის აღსადგენად.

ცენტრების საქმიანობაში საანგარიშო პერიოდში ერთი საგანგაშო ტენდენცია შეინიშნებოდა, რაც ასევე იყო ადგილობრივი ხელისუფლების სერიოზული საწუხარი: მომრავლდა ისეთი ბენეფიციარების რაოდენობა, ვისაც, მიუხედავად მძიმე სოციალური მდგომარეობისა, შეუწყდა სახელმწიფო სოციალური შემწეობა. ეს არ არის ერთი რომელიმე მუნიციპალიტეტის პრობლემა, ერთნაირად შეეხება ყველა რეგიონს. ცენტრების მობილიზატორები მსგავსი პრობლემის მქონე ოჯახებს სოციალური დახმარების პროგრამაში ჩასართვად საჭირო პროცედურების ორგანიზებაში ეხმარებოდნენ. იმ შემთხვევაში, როცა სოციალური დახმარების აღდგენის პროცესი ჭიანურდებოდა, თვითმმართველობების მიერ მიწოდებული ინფორმაციით არაერთი ოჯახისთვის განხორციელდა „დახმარების კალათის“ ორგანიზება - სურსათით, ყოფისათვის აუცილებელი ნივთებით - რასაც ცენტრების მობილიზატორები ხელმძღვანელობდნენ (ხონში, ფოთში, სენაკში).

სოციალური სოლიდარობის მსგავსი ჟესტები თვითმმართველობებთან სისტემატიური კომუნიკაციის პირობებში ხორციელდება.

თვითმმართველობებთან მჭიდრო თანამშრომლობის კიდევ ერთი სფერო - ბენეფიციართა ყველაზე შეჭირვებული კატეგორიის ჯანმრთელობის დაცვის შესაბამისი პაკეტებით სარგებლობაში ხელშეწყობა იყო. არაერთ ბენეფიციარს, რომელსაც ოპერაციამდელი კვლევის, ან ოპერაციის თანადაფინანსება ესაჭიროებოდა, მობილიზატორთა დახმარებით და შუამდგომლობით, ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან დახმარება გაეწია. მიუხედავად ადგილობრივი პროგრამების შესახებ მოქალაქეების სისტემატიური ინფორმირებისა, ზოგჯერ ყველაზე მეტი საჭიროების მქონე ბენეფიციარებს არ გააჩნიათ საჭირო ინფორმაცია, რაც ყურადღების მიღმა არ რჩებათ ცენტრების მობილიზატორებს; ქუთაისში, სენაკში, ხონში არაერთ ასეთ ბენეფიციარს ქალთა მხარდაჭერის ცენტრების მობილიზატორები დაეხმარნენ საჭირო პროცედურების გავლაში.

თვითმმართველობებთან თანამშრომლობის გაღრმავებას განსაკუთრებული დატვირთვა მიეცა მარტში, ქალთა საერთაშორისო სოლიდარობის კვირეულისადმი მიძღვნილ მრგვალ მაგიდებზე. შეხვედრებზე ყველგან იყვნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, რომელთაც მაღალი შეფასება მისცეს ცენტრების მუშაობას, ქალების გაძლიერებისათვის მიმდინარე ღონისძიებებს. მათი აღნიშვნით, ცენტრებთან მჭიდრო თანამშრომლობა მოქალაქეებთან კომუნიკაციის და კონსტრუქციული დიალოგის კარგი საშუალებაა, რაც თვითმმართველობის ინტერესებშიც შედის და იმაში, რომ ამ ინფორმაციის ნაკადი ორმხრივია - მობილიზატორების დიდი ძალისხმევაა ჩადებული.

გარდა ძველი გეოგრაფიული არეალისა, ქალთა მხარდაჭერის ცენტრების ფოკუსში ბოლო წელს სოფლებიც მოხვდა. სოფლად მცხოვრებ ქალებთან მუშაობა სულ უფრო მეტად პროდუქტიული ხდება, რადგან სწორედ ბენეფიციარებიდან მოდის სხვადასხვა ტიპის შეხვედრების ჩატარების დაკვეთა. ბენეფიციარები ხშირად საკუთარი პრობლემის გარდა საერთო პრობლემებზეც აკეთებენ ფოკუსს. პრობლემები ექვსივე ქალაქში, ძირითადად, ერთმანეთის მსგავსია - უფრო ხშირად სოციალური ხასიათის: დასუფთავება, კანალიზაციის მოშლა, ეზოს კეთილმოწყობის საჭიროება, საბავშვო მოედნის აღჭურვა.

თვითმმართველობასთან დიალოგი სხვა თემებზეც მიდის: კოლექტიურ ცენტრებში არსებული არასახარბიელო პირობები, სოციალური ფონი, უმუშევრობა, მიგრაცია, ახალგაზრდების დაუსაქმებლობა - ჩამონათვალიდან მობილიზატორები ცდილობენ, ისეთი საკითხები აიღონ ადვოკატირებისთვის, რომელთა მოგვარება ადგილობრივ დონეზე შესაძლებელია.

მობილიზატორები აქტიურად თანამშრომლობენ სოფლის რწმუნებულებთან. მათი მხარდაჭერით ხდება სამობილიზაციო შეხვედრების ორგანიზება და ჩატარება. მიუხედავად იმისა, რომ სახელისუფლებო რგოლებთან თანამშრომლობა დიდი ხნის დაწყებულია, იკვეთება, რომ პირვე-

ლად რგოლებს მეტი ინფორმაცია სჭირდებათ ცენტრების საქმიანობაზე, უფასო ფსიქოლოგიურ და იურიდიულ სერვისებზე.

ცენტრების საქმიანობის შესახებ ხდება ადგილობრივი დეპუტატების ინფორმირებაც, რადგან ბევრი მათგანი (რაღა დასამალია, ყველაზე ხშირ შემთხვევაში - ქალი-დეპუტატები) სისტემატიურად ხვდებიან ამომრჩეველს და ხშირია შემთხვევა, როცა ამ სოციალური სერვისის საჭიროების მქონე მოქალაქეების გადამისამართებას ახდენენ ფონდის ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში. თვითონაც აქტიურად ხდებიან ლობისტები ბევრი საკითხის მოსაგვარებლად.

„ჩვენთვის ეს იყო კარგი შესაძლებლობა, მოსახლეობასთან ერთად გვესაუბრა არსებულ სოციალურ პროგრამებზე და მიგვეწოდებინა მეტი ინფორმაცია, რა კეთდება ადგილობრივ დონეზე გენდერული პრობლემების აღმოსაფხვრელად. გარდა ამისა, უფრო ახლოს გავეცანით ქალთა მხარდაჭერის ცენტრების საქმიანობას, მათ შესაძლებლობებს. დარწმუნებული ვართ, ჩვენი საქმიანობა ძალიან პროდუქტიული იქნება“.

ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები - მრგვალ მაგიდაზე

ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის კუთხით ყველაზე ეფექტურია „ერთი ფანჯრის პრინციპი“, რასაც ქალთა მხარდაჭერის ცენტრების მობილიზატორები ხშირად იყენებენ. განსაკუთრებით - დევნილთა კოლექტიურ დასახლებებში არსებული პრობლემების ადვოკატირებისას. ხშირად არის განხილვის თემა ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკა, ახალგაზრდების საჭიროებები.

„ფოთში შეხვედრის მონაწილე იგპ ქალებმა დასვეს სამშენებლო ხარვეზების საკითხი, რის გამოც ბინის კედლები სველდება. მერიის დევნილთა და სოციალური სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ დაიწყებს საკითხის ადვოკატირებას: გაუგზავნის წერილს იმ კომპანიას, რომელმაც ბინების რემონტი გააკეთა და კანონიერად მოითხოვს დეფექტის გამოსწორებას. იმავე შეხვედრაზე სწორედ ხელისუფლების წარმომადგენლებისგან წამოვიდა მოთხოვნა, ცენტრის მობილიზატორებმა მიაწოდონ მათ სოციალურად დაუცველი ოჯახების სია, რათა მათ გაზის გამათბობელი დაურიგდეთ“.

ყველაზე სერიოზულ მიღწევად კი შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ექვსივე ქალაქში ადგილობრივი სტრუქტურების წარმომადგენლები გამოთქვამენ მზადყოფნას, ითანამშრომლონ ქალთა მხარდაჭერის ცენტრებთან და, ადგილობრივი რესურსებიდან გამომდინარე, გაიზარდოს მათი ჩართულობა ძალადობის პრევენციისა და მსხვერპლთა დახმარების საქმეში. ეს თემა წინა წლებში ბევრად უფრო დახურული იყო. საბედნიეროდ - არსებულ პოზიტიურ პრაქტიკას ამყარებს სახელმწიფო პოლიტიკით განსაზღვრული საკანონმდებლო ცვლილებები, რომლითაც მნიშვნელოვნად გაიზარდა თვითმმართველობის როლი და უფლებამოსილება გენდერული და ოჯახში ძალადობისაგან დაცვის, ძალადობის პრევენციის კუთხით.

„ქალთა მხარდაჭერის ცენტრებსა და ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის თანამშრომლობამ და სხვადასხვა დონის შეხვედრებში მონაწილეობამ ხელი შეუწყო თვითმმართველობასა და მოქალაქეებს შორის ინფორმაციის გაცვლის ხარისხის ამაღლებას. ცენტრების იმიჯიც საგრძნობლად გაიზარდა. არის მეტი სურვილი, ადამიანები თავად ჩაერთონ საკუთარი პრობლემების მოგვარების პროცესში. გაიზარდა ნდობა სახელმწიფო სტრუქტურების მიმართ, ქალები არაერთხელ დარწმუნდნენ, რომ აქტიური თანამშრომლობით შესაძლებელია ცხოვრების პირობების გაუმჯობესება“.

პროექტის ასისტენტი

ტრენინგი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან

ოჯახში და გენდერული ძალადობის აღკვეთის ახალი, 2016-2017 წლების სახელმწიფო გეგმის თანახმად, ადგილობრივ ხელისუფლებას აქვს ვალდებულება, უზრუნველყოს წელიწადში არანაკლებ ოთხი ტრენინგისა თვითმმართველობის პერსონალთან. ამ ღონისძიების აუცილებლობა ნაკარნახევია იმ აუცილებლობით, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები უნდა ფლობდნენ ამომწურავ ინფორმაციას ოჯახში ძალადობის, გენდერული ძალადობის საკითხებზე, მის გამომწვევ მიზეზებზე, სოციალურ შედეგებზე, გააცნობიერონ საკუთარი როლი ძალადობის პრევენციის, მსხვერპლის დაცვის კუთხით, რეფერალური მექანიზმის სუბიექტებთან კოორდინაციის მიმართულებით. ფონდი „სოხუმი“ უკვე რამდენიმე წელია, მსგავსი ტიპის ტრენინგების გამოცდილებას აწვდის თვითმმართველობის წარმომადგენლებს. პრაქტიკამ გვიჩვენა, საერთო სივრცე საკითხის უფრო ღრმად გააზრების საშუალებას იძლევა და ეს ბევრად ზრდის თვითმმართველობის სენსიტიურ დამოკიდებულებას პრობლემის მიმართ, უკეთ ხდება საკუთარი როლის გააზრება რეფერირების პროცესში. ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებების დასახვა, არსებული პრაქტიკის გაანალიზება და შეფასება, დახვეწა.

ფონდმა „სოხუმმა“ 2016 წელსაც გააგრძელა სამდღიანი ტრენინგ-კურსი ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით, რომელშიც დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი ხელისუფლების იმ ქალაქების წარმომადგენლები შეიკრიბნენ, სადაც წლების მანძილზე აქტიურად მუშაობს ფონდი „სოხუმი“. მათგან ოთხ ქალაქში (ქუთაისი, სენაკი, ოზურგეთი, ბათუმი) შექმნილია გენდერული საკონსულტაციო საბჭოები, ხოლო დანარჩენ ადგილებში - ქუთაისი, ხონი, წყალტუბო, სენაკი, ფოთი, ზუგდიდი - ხურჩა / კოკი - წლებია, ფუნქციონირებს ქალთა მხარდაჭერის ცენტრი.

ტრენინგი ბორჯომში ჩატარდა (31 მარტი - 3 აპრილი). თემა იყო „ოჯახში ძალადობის პრევენცია და ძალადობის მსხვერპლის დახმარება, თვითმმართველობის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხები“. მონაწილეთა რაოდენობა - 22.

ტრენინგი იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ შემუშავდა თვითმმართველობის გენდერული სამოქმედო გეგმები რეგიონების მიხედვით, დაიგეგმა შესაბამისი ღონისძიებები, განისაზღვრა ამოცანები, პასუხისმგებელი პირები.

ამით თვითმმართველობები მომზადებულნი შეხვდნენ უკვე შემდეგში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებს, რომლითაც ადგილობრივ დონეზე გენდერული პოლიტიკის, მათ შორის გენდერული ძალადობისგან დაცვის ღონისძიებების განხორციელებაში თვითმმართველობების უფლებამოსილება, როლი და კომპეტენცია გაიზარდა. რა დასამალია და, შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციები საჭირო გამოცდილების და საკითხის სათანადო ცოდნის გარეშე ჰაერში დაკიდებული რჩება, თუ ადგილზე არ არსებობს საჭირო პოლიტიკური ნება და პოზიტიური პრაქტიკა.

საქართველოს პარლამენტმა 2006 წელს მიიღო კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ".
2016 წელს კანონში შევიდა გარკვეული ცვლილებები, მათ შორის: მე-6 მუხლს დაემატა 2[1] პუნქტი: ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უფლებამოსილნი არიან, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, განახორციელონ და მონაწილეობა მიიღონ ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმებში (ღონისძიებებში).
კანონს დაემატა შემდეგი შინაარსის VI[1] თავი - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მონაწილეობა ოჯახში ძალადობის პრევენციასა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სფეროში.
ამასთანავე „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსს" დაემატა ნორმა, რომლის მიხედვით განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (მუნიციპალიტეტის) უფლებამოსილება, მონაწილეობა მიიღოს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ გასატარებელ ღონისძიებებში.

ზუგდიდის გამგეობის პროექტი

თვითმმართველობასთან თანამშრომლობის კუთხით ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ შედეგად შეიძლება მოვიაზროთ ერთობლივი პროექტი „ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლობა - ოჯახში ძალადობის პრობლემის პრევენცია და მსხვერპლის დაცვა", რომელიც განხორციელდა ზუგდიდის გამგეობისა და ფონდი „სოხუმის" თანადაფინანსებით.

პროექტი ივნისში დაიწყო. მასში ჩართულნი იყვნენ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 48 ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები, საკრებულოს დეპუტატები და სოფლების აქტივისტები. ფონდი „სოხუმის" ტრენერთა ჯგუფმა ჩაატარა 6 ტრენინგი თემებზე - ძალადობის არსი, მისი სოციალური შედეგები, მსხვერპლის და მოძალადის არქეტიპი, ოჯახში ძალადობისაგან დაცვის სახელმწიფო მექანიზმები, სექტორთშორისი თანამშრომლობა ოჯახში ძალადობის პრევენციაში. ტრენინგებს დაესწრო 107 ადამიანი.

ტრენინგის მონაწილეებისთვის მომზადდა საინფორმაციო ფურცლები. მასზე განთავსებული იყო ინფორმაცია ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კანონის შესახებ, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის არსებული მექანიზმები, ცხელი ხაზების საკონტაქტო ინფორმაცია. საინფორმაციო ფურცელი ტრენინგის მონაწილეებმა გაავრცელეს თავიანთ სოფლებშიც.

ტრენინგის ბოლოს თითოეულ ჯგუფში შემუშავდა რეკომენდაციები, სადაც განისაზღვრა ადგილობრივი ხელისუფლების როლი ძალადობის პრევენციაში.

პარალელურად 48 სოფელში ჩატარდა ანკეტირება რაოდენობრივი ინფორმაციის შეგროვების მიზნით. კვლევის შედეგებმა წარმოაჩინა რეალური სურათი, თუ რა მდგომარეობაა ქალთა მიმართ ძალადობის კუთხით აღნიშნულ სოფლებში. რამდენად ხდება ოჯახში ძალადობის, როგორც სოციალურად საშიში მოვლენის აღიარება, ძალადობის რა ფორმებია უფრო ხშირი. რეფერირების სისტემის რომელ რგოლს უფრო უცხადებენ ნდობას გამოკითხულები.

კვლევამ წარმოაჩინა პრობლემისადმი სხვადასხვა დამოკიდებულება სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის, სოციალური სტატუსის ადამიანებში; ნდობის ხარისხი სოციალური მუშაკების, პოლიციის, თვითმმართველობის, არასამთავრობო სექტორის მიმართ. ფონდმა „სოხუმმა" განაზოგადა კვლევის შედეგები. ტრენინგებისა და კვლევის მასალებზე დაყრდნობით გამოიცა კრებული „ოჯახში ძალადობის პრევენციისთვის".

ერთ-ერთ ტრენინგზე

მრგვალი მაგიდა

შემდგომში საინტერესო დისკუსიები გაგრძელდა მრგვალ მაგიდაზე, სადაც მოხდა პროექტის შედეგების პრეზენტაცია. ითვლება, რომ ოჯახში და გენდერული ძალადობის თემის აქტუალიზაციის კუთხით სამეგრელო ერთ-ერთი ყველაზე სენსიტიური რეგიონია, ამიტომ თვითონ პროექტი და ზუგდიდის გამგეობის მცდელობა, მოხდეს პრობლემის გააზრება, საზოგადოება, სახელისუფლებო სტრუქტურები ჩაერთონ მის პრევენციაში; ითანამშრომლონ კვალიფიციურ არასამთავრობო სექტორთან საკითხის სახელმწიფო პოლიტიკის რანგში ასაყვანად, არის საუკეთესო პრეცედენტი და პოზიტიური მაგალითი სხვა მუნიციპალიტეტებისთვის.

მრგვალი მაგიდა ქუთაისში

წლის ბოლოს ფონდმა „სოხუმმა“ ქუთაისში მრგვალი მაგიდა გამართა თემაზე: „არასამთავრობო სექტორისა და ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლობა ძალადობის პრევენციასა და მსხვერპლთა დაცვის საკითხებში.“

ღონისძიებას ესწრებოდნენ დასავლეთ საქართველოს 9 მუნიციპალიტეტის - ქუთაისის, წყალტუბოს, ხონის, სენაკის, ფოთის, ზუგდიდის, ხობის, ოზურგეთის, ბათუმის - ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები; პარტნიორი ორგანიზაციები; ქუთაისის, სენაკის, ოზურგეთის,

ბათუმის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრები, მასმედიის წარმომადგენლები. გამომსვლელებმა ისაუბრეს მსხვერპლთა დახმარების მიმართულებით არსებულ გამოცდილებაზე, სამართლებრივ ასპექტებზე. 9 მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა შეიმუშავეს 20-ზე მეტი რეკომენდაცია, რომლებიც მიმართულია სიტუაციის გაუმჯობესებისკენ ძალადობის პრევენციის პროცესში.

ემა კამკია

ფორუმ-თეატრი - ფონდი „სოხუმის“ სავიზიტო ბარათი

ფორუმ-თეატრი - ფონდი „სოხუმის“ სავიზიტო ბარათი. სამარკო ნიშანი. ბრენდი.

ფორუმ-თეატრის მეთოდი სოციალური პრობლემების ფსიქოპროფილაქტიკისა და კორექციის ინტერაქტიულ საშუალებად მიიჩნევა. მას საფუძვლად უდევს თეატრალური სცენები და აუდიტორიასთან უკუკავშირი.

ფონდი „სოხუმის“ ფორუმ-თეატრი ლამის 10 წლისაა და წლებთან ერთად იზრდება, იცვლებიან რეჟისორები, მსახიობები, მაყურებლები. უცვლელია თემები - ძალადობა ოჯახში, ძალადობა ქალების და ბავშვების მიმართ, ბულინგი.

ფორუმ-თეატრი განსხვავებული ფორმაა ფონდი „სოხუმის“ მუშაობაში. არც ტრენინგია, არც აქცია ან საინფორმაციო შეხვედრა, მაგრამ ყველაფერია - ერთად აღებული. ორგანიზაციის მუშაობის ყველაზე პოპულარული, ყველაზე ეფექტური და შედეგიანი ბლოკია.

რას ამბობენ მაყურებლები?

გამოხატავენ გაკვირვებას, რომ ძალადობის თემით დაინტერესდნენ ახალგაზრდები.

აღტაცებას - გოგო-ბიჭების თამაშით, მათი სერიოზული დამოკიდებულებით საკითხის მიმართ.

შიშს - რომ ასეთი სცენა შეიძლება მათ ოჯახშიც მოხდეს.

სურვილს, თვითონაც რაიმე იღონონ ძალადობის საწინააღმდეგოდ.

იმედს, რომ თუ ყველა ერთად ვიფიქრებთ გამოსავალზე, შესაძლებელია პრობლემის მოგვარება.

რას ამბობს რეჟისორი?

ფონდ „სოხუმში“ ფორუმ-თეატრის პირველ ჯგუფთან ახალგაზრდა რეჟისორმა კოტე რევიშვილმა დაიწყო მუშაობა. იყო პირველი სცენები, პირველი გასვლები, წარმატებები... მერე ფორუმ-თეატრის მსახიობზე სალომე კოპალიანზე დაქორწინდა. ამჟამად პოლონეთში არიან. კოტე სახელმწიფო თეატრის რეჟისორია.

ფონდის ფორუმ-თეატრს ახლა მაგდა ჩიხლაძე ხელმძღვანელობს - ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი და რეჟისორი. ბავშვთა სტუდიაშიც მუშაობს, აქვს ახალგაზრდული თეატრი. სათეატრო ხელოვნებას აყვარებს ახალგაზრდებს, სამსახიობო უნარ-ჩვევების განვითარებაში ეხმარება.

ფორუმ-თეატრის ახალგაზრდა მსახიობებთანაც ბევრს მუშაობს. როგორც ამბობს, ახლების მოსვლა შრომას მოითხოვს. ფორუმ-თეატრის წარმოდგენა არ არის დასრულებული სპექტაკლი, ეს კულმინაციამდე მიყვანაა, საჭირო ადგილას გაწყვეტილი აზრი და მოქმედებაა, რომ მერე მაყურებელმა იფიქროს, დასკვნები გამოიტანოს, პრობლემის ანალიზი შეძლოს და მოგვარებაზე იფიქროს. ან მაშინვე - სცენაში ჩართვით და თავისი ვერსიის შეთავაზებით, ან მერე, თავის თავთან მარტოდ დარჩენილმა...

თამაშის დროს ყველაფერი მნიშვნელოვანია - ემოციური მეხსიერება, ტექნიკა, ექსპოზიციური ნაწილი, განვითარება, კულმინაცია თუ ფინალი... ყველაფერს თავისი სპეციფიკა აქვს და სწორედ ამას ასწავლის მაგდა ჩიხლაძე ყოველ ახალმოსულს. სამი თვე - სტაჟირების, სწავლის, გამოცდილების მიღების პერიოდია. ამ დროს მოხალისებრივად მუშაობენ, ეცნობიან თემას, თამაშის სპეციფიკას, დისკუსიის კულტურას.

ფორუმ-თეატრი იმითაცაა განსხვავებული, რომ აქ სცენარებზეც ერთად მუშაობენ, ერთად აანალიზებენ. წარმოდგენების შემდეგ დისკუსიებს მართავენ მაყურებელთან ერთად. მაყურებელთან ახლო კონტაქტსაც განსაკუთრებული ხიბლი აქვს - საქებარ სიტყვას, ტაშს, ერთად გადაღებულ ფოტოს...

რას ამბობენ მსახიობები?

მათი ასაკი 14-დან 30 წლამდეა. წლების მანძილზე 50-ზე მეტი ახალგაზრდა გამოიზარდა. ზოგი სტუდენტია ახლა, ზოგმა დაამთავრა და მუშაობს. თუმცა ფორუმ-თეატრი მათთვის რჩება არა მხოლოდ საუკეთესო მოგონებად, არამედ დიდ გამოცდილებად, მთავარ მესიჯად - რომ ძალადობა ბოროტებაა...

ახლა ფორუმ-თეატრის მსახიობთა უმეტესობა მოსწავლეა - სულ შვიდნი არიან. თანატოლები შენატრიან მათ - სხვადასხვა ქალაქში დადიან, სცენაზე დგანან, ბევრ ადამიანს ხვდებიან. ეს მართლაც გამოარჩევს ამ ახალგაზრდებს სხვებისგან. ფორუმელები ძალიან აქტიურები არიან.

წყალტუბო

ქუთაისი

ფოთი

მარი კურტანიძე მე-7 კლასში იყო, სკოლაში ფორუმ-თეატრს რომ დაესწრო. ძალიან მოეწონა. როლის თამაშიც მოუნდა - მსახიობი დარო კვარაცხელია შეცვალა. ერთი სული ჰქონდა, როდის გადავიდოდა მე-9 კლასში, როდის გახდებოდა 14 წლის, რომ თვითონაც შესულიყო ამ გუნდში. მერე იყო სტაჟიორობის სამი თვე და ახლა წამყვანი მსახიობია.

„გაამართლა ჩემი მოლოდინი, უფრო უკეთესია, ვიდრე მეგონა“ - ამბობს მარი. - მიხარია, რომ ორგანიზაციის წევრი ვარ, დიდი ოჯახის ნაწილი.

აქტიური, ენერგიით სავსე გოგონაა მარი, დააარსა „განათლებისა და ტოლერანტობის საზოგადოება“. თავადაც ატარებს უამრავ საინფორმაციო შეხვედრას, ინიციატივები არ ელევა. სიამოვნებით მონაწილეობს სატელევიზიო გადაცემებში - ნამდვილი უფლებადამცველია სიტყვით, გრძნობით, საქმით. ასეა თედო მესხიც, ღონისძიებების აქტიური მონაწილე. მას თავისი სატელევიზიო გატაცებაც აქვს - საბავშვო პროგრამების რედაქცია „რიონულას“ წამყვანია.

მარი რობაქიძის მსახიობური სტაჟი ჯერ ერთი წლისაა. ყოველთვის აინტერესებდა ასეთი მუშაობა. მოსწონს, რომ ეხებიან ძალადობის თემას, რადგან, მისი აზრით, მხოლოდ ასე შეიძლება მისი დაძლევა - ფორუმ-თეატრი ეხმარება ადამიანებს, პრობლემა დაინახონ, შეიგრძნონ და მოგვარებაზე იფიქრონ. თავიდან ძალიან მორიდებული იყო. ნელ-ნელა სიმორცხვე დაძლია, გათამამდა და დისკუსიაშიც ერთვება.

როდესაც სკოლებში გადიან და თამაშობენ, ხედავენ, რომ ზოგიერთი ბავშვი თავდახრილი ზის, ან ტირის კიდეც. ადვილი გასაგებია, რომ მათთვის ნაცნობი სცენებია, ოჯახური სცენები. ხშირად ასეთი ბავშვები არ ერთვებიან დისკუსიაში, შეიძლება გავიდნენ კიდეც დარბაზიდან, მაგრამ არაერთხელ ყოფილა, რომ ბავშვს თავისი ისტორია მოუყოლია, მაყურებლებისგან მხარდაჭერა მიუღია და ამით შვებაც უგრძვნია.

განსაკუთრებით შთამბეჭდავია დედა-შვილის თემა. შვილი ხან ბიჭია, ხანაც გოგო. დედა კი ყოველთვის ირინე ჯობავაა - რადგან ფიზიკურად დიდი გოგონაა, კონკურენტი არ ჰყავს ამ როლში.

„ბევრ სიახლეს ვეცნობი, მეგობრები შევიძინე, - ამბობს ირინე. - განაგონი მქონდა ასეთი ამბები, მაგრამ ახლა უფრო ვიცი, რომ ეს რეალობაა. არ მინდა იყოს ძალადობა, ამიტომაც ვთამაშობ. ხალხს ვაჩვენებთ, რომ ძალადობა ცუდია და ცუდი შედეგები შეიძლება მოიტანოს“.

ვიკა ჭიჭეიშვილსაც მიაჩნია, რომ დიდი ეფექტი აქვს ფორუმ-თეატრს: „ვისაც ვუტარებთ, უნდა მიხვდნენ, რომ ასე მოქცევა არ შეიძლება. უნდა შეაჩერონ ძალადობის პროცესი“.

ვიკა ჯერჯერობით სტაჟიორია. ჯერ პროფესია არჩეული არა აქვს, მაგრამ ისე მოსწონს მსახიობობა, შეიძლება თეატრალურზე ჩააბაროს კიდეც.

არჩილ ამანათიძეც სტაჟიორია - შემთხვევით მოხვდა. ახლა ისე ჩაერთო მუშაობაში, ისე მოეწონა, უკვე წასვლას არც აპირებს.

ფორუმ-თეატრში ყველაზე გამოცდილი ალეკოა, პროფესიით - დრამატული თეატრის მსახიობი ალექსანდრე ლომთაძე. მისი აზრი ლაკონურია: რახან ფორუმ-თეატრი ამდენი ხანია არსებობს, ე. ი. საჭიროა. ეს ძალიან მყარი ლოგიკაა - დროს მხოლოდ ის უძლებს, რაც წარმატებული და ეფექტურია.

ერთ დღეს ფორუმ-თეატრის წარმოდგენა იყო. ქალბატონ მაგდას პრემიერა ჰქონდა თეატრში და ვერ მოვიდა. მსახიობებმაც ვერ შეძლეს მოსვლა - დარჩნენ ალეკო, ირინე და მარი. რაღა ექნათ, სამი სცენის რეპეტიცია გაიარეს და წარმოდგენები ჩაატარეს. ძალიან კარგი გამოვიდა. ოღონდ ერთი კურიოზით: წარმოდგენაში ალეკოს ცოლი იყო მარი და მათ შორის ისეთი სხვაობაა სიმაღლესა და ასაკშიც - მაყურებელს სიცილი აუტყდა, მაგრამ ისე სერიოზულად ითამაშეს, მაინც ყველა დააფიქრეს და მიზანსაც მიაღწიეს...

ასეთი საინტერესო სფეროა ფორუმ-თეატრი. ასე მოქმედებს, გავლენას ახდენს მაყურებელზე, ამსხვრევს სტერეოტიპებს, ცვლის ადამიანთა ცნობიერებას, დამოკიდებულებას, შეხედულებას...

ლალი შენგელია

კანონის მონიტორინგი

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“

ფონდი „სოხუმი“ ორი წელია, ატარებს „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების კანონის“ მონიტორინგს. მოპოვებული ინფორმაცია საშუალებას იძლევა, დანახულ იქნას ხარვეზები, რომლებიც ზოგჯერ არსებობს საკანონმდებლო, ან სამართლებრივი მექანიზმების მოქნილობის კუთხით, უფრო ხშირ შემთხვევაში კი - კანონის იმპლემენტაციის თვალსაზრისით.

ცოტა ხნის წინათ ჩვენი ორგანიზაცია მონაწილეობდა საერთაშორისო პარტნიორების მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრაში, სადაც მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავდა რეკომენდაციები საქართველოს მიერ ასოცირების დღის წესრიგის შესრულების მიმართულებით ევროკავშირის პროგრესის ანგარიშისთვის. ერთ-ერთ საკითხად სწორედ ოჯახში და გენდერული ძალადობისაგან დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის გარკვეული წინადადებები იყო შეთავაზებული.

მონიტორინგი იკვლევს რეფერალური მექანიზმის სუბიექტებს შორის არსებულ კოორდინაციის ხარისხს, სხვადასხვა უწყების მიერ მათზე დაკისრებული უფლებამოსილებებისა და ვალდებულებების შესრულების კუთხით არსებულ მდგომარეობას, დაზარალებულების მიერ შესაბამისი სერვისების მიღების შესაძლებლობას და რეალურ სიტუაციას, თუ რამდენად მიესადაგება ეს დაზარალებულთ საჭიროებებს. მონიტორინგის ფარგლებში მოხდა სათანადო დოკუმენტების შესწავლა, წლის მანძილზე ჩატარდა 20 ფოკუს-ჯგუფი, 19 ჩაღრმავებული ინტერვიუ, 2 გამოკითხვა.

მონიტორინგის ჯგუფმა წლის დასაწყისში ქუთაისსა და ზუგდიდში ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებთან ანკეტირება ჩაატარა. კვლევაში მონაწილეობდა დასავლეთ საქართველოს თვითმმართველობების 130 წარმომადგენელი.

მოპოვებული ინფორმაციით ცხადი გახდა, რომ თვითმმართველობას ყველა სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ რგოლზე მეტად აქვს შეხება ოჯახში ძალადობის პრობლემასთან და შეძლებისდაგვარად უწევს რეაგირება ძალადობის შემთხვევებზე, თუმცა უფრო ხშირად არ გააჩნია საამისო კომპეტენცია და რესურსები.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, განსაკუთრებით თემის ტერიტორიული ერთეულების ხელმძღვანელებს, ვისაც ყველაზე მეტი შეხება აქვთ პრობლემასთან, ხშირად არა აქვთ ინფორმაცია არსებულ მექანიზმებზე და ბოლომდე ვერ აცნობიერებენ, რა კუთხით უნდა იყვნენ ჩართულნი პრობლემის მოგვარებაში (პრევენცია, შემთხვევების მართვა, დახმარება). საკითხის შესწავლა გაგრძელდა ფოკუს-ჯგუფებზე, რომელთაც არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი გამოკვეთეს. გაჟღერდა სურვილი, რომ ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციისა და უფლებამოსილების განსაზღვრა უნდა განხორციელდეს მათთან კონსულტაციით და იმ რეალობის გათვალისწინებით, რომელიც არის ადგილებზე, განსაკუთრებით პერიფერიებში - ოჯახში ძალადობის პრობლემასთან დაკავშირებით და მისი სოციალური შედეგების დაძლევის კუთხით. მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ შესაბამისი კანონმდებლობის და საბიუჯეტო რესურსების არსებობის შემთხვევაში, თვითმმართველობის სტრუქტურებში არის მზაობა, ჩაერთონ ოჯახში ძალადობის პრევენციის პროცესში.

ფონდმა „სოხუმმა“ საჭიროდ მიიჩნია მიღებული ინფორმაციის განზოგადება: გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით, მომდევნო თვეს ფონდის მიერ დაფუძნებული გენდერული საკონსულტაციო საბჭოების ქსელურ შეხვედრაზე, სადაც 18 მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა

შეიკრიბა, სწორედ ძალადობისაგან დაცვის ახალი სახელმწიფო გეგმისათვის მოხდა რეკომენდაციების შემუშავება თვითმმართველობის ჩართულობისა და როლის თაობაზე გენდერული და ოჯახში ძალადობისაგან დაცვის მიმართულებით. რეკომენდაციათა ნაწილი აისახა სამოქმედო გეგმის საბოლოო ვარიანტში. უმნიშვნელოვანესი იყო ისიც, რომ შეხვედრაზე მოხდა გამოცდილების გაცვლა, დისკუსიები მწვავე საკითხებზე და გადაჭრის გზებზე. ფონდი „სოხუმი“ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დიალოგის ხელშეწყობას სხვადასხვა თვითმმართველობას შორის, რათა მოხდეს რიგ თვითმმართველობებში არსებული პოზიტიური პრაქტიკის შემდგომი დანერგვა, გამოიკვეთოს საჭირბოროტო საკითხები და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები. წლის ბოლოს, ქუთაისში, „16-დღიანი კამპანიის“ ფარგლებში ჩატარებული გაფართოებული მრგვალი მაგიდა სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა.

მონიტორინგის ფარგლებში სხვა არაერთი მტკივნეული საკითხი გამოიკვეთა. მათ შორის საგანმანათლებლო დაწესებულებების პერსონალის დაბალი კომპეტენცია და მზაობა, ჩაერთონ რეფერირების პროცესში, საკითხის უფრო ღრმად კვლევისთვის „ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კამპანიის“ ფარგლებში 450 პედაგოგი გამოიკითხა, ხოლო მიღებულმა შედეგებმა გვიჩვენა, რომ პროცესი - სასწავლო დაწესებულებების რეფერირების სისტემაში ჩასართვად - დაწყებულია, თუმცა სათანადო მომზადება გავლილი აქვთ მხოლოდ დირექტორებს, ან დირექტორის მოადგილეებს; არსებობს შიდა ინსტრუქციების მხოლოდ ზეპირი ფორმა და, პედაგოგების უმრავლესობის აზრით, საჭიროა, სპეციალური ტრენინგები უკლებლივ ყველა მასწავლებელს, განსაკუთრებით კი კლასის დამრიგებლებს ჰქონდეთ გავლილი. ამ კუთხით კი აუცილებლად მიაჩნიათ კვალიფიციურ არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობა.

გავრცელებული ფორმებიდან პედაგოგებისთვის საგანგაშოა ფიზიკური ძალადობა, განსაკუთრებით - სოფლებში. სექტორთშორისი თანამშრომლობის კუთხით პარტნიორად მოაზრებენ კვალიფიციურ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და სოციალურ მუშაკებს, თუმცა ამ უკანასკნელებთან თანამშრომლობის ხარისხს არასახარბიელოდ მიიჩნევენ.

მონიტორინგმა გამოავლინა სამწუხარო სტატისტიკა - ქვეყანაში სოციალური მუშაობის აღებული ტემპი შენელდა და ზოგადად სოციალური მუშაკის ინსტიტუტის დაკნინების ტენდენცია შეიმჩნევა. პროცესი იქამდეც კი მივიდა, რომ ზოგჯერ მუნიციპალიტეტი თვეების განმავლობაში სოციალური მუშაკის გარეშეა და ვაკანსიის დაკავება არ ხდება (მაგალითად, ხონის მუნიციპალიტეტი). რეფერირების სუბიექტები გულისტკივილით აღნიშნავენ კომპეტენტური სოციალური მუშაკების გადინებას სხვა უწყებებში. ამას დაბალი ანაზღაურებით და სფეროს მუშაობის რთული სპეციფიკით ხსნიან.

არაერთი ექსპერტის და დარგის სპეციალისტის მოსაზრებებზე დაყრდნობით ფონდმა „სოხუმმა“ მოამზადა რეკომენდაციათა პაკეტი, რათა განხორციელდეს უწყების საჭირო რეორგანიზაცია, არ მოხდეს ამ უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტის დაკნინება, სათანადო ყურადღება მიექცეს სოციალური მუშაკის ინსტიტუტის პოპულარიზაციას, რომ მათ მიეცეთ სათანადო ზრდის და კვალიფიკაციის ამაღლების საშუალება, არ მოხდეს ამ სფეროს წარმომადგენელთა დემოტივირება.

მონიტორინგმა გამოავლინა უკეთესი მდგომარეობა მსხვერპლის სტატუსის მინიჭების მოქნილობის კუთხით, თუმცა, საერთო პოზიციით, დაზარალებულების დახმარების მხრივ არსებული მდგომარეობა გაუმჯობესებას საჭიროებს. განსაკუთრებით დასანანია ის, რომ არ არსებობს სახელმწიფო პროგრამები მათი დასაქმების, რესოციალიზაციის კუთხით. რთულია საუბარი პრობლემის გამოსწორებაზე იმ პირობებში, როცა არ მიდის არანაირი მუშაობა მოძალადეებთან. თუმცა - პენიტენციალურ სისტემაში არსებული პრაქტიკა კარგი მაგალითია ამ მიმართულებით საჭირო მიდგომების დასანერგად, რაც ისევ და ისევ სახელმწიფოს კეთილ ნებაზეა დამოკიდებული - მოინახოს სათანადო რესურსები ამის მხარდასაჭერად.

ძალადობისაგან დაცვის კანონის იმპლემენტაციის მონიტორინგი კვლავაც გრძელდება და ფონდის ძალისხმევა იმ პირობებში, როცა ამ კუთხით არ არსებობს სისტემატიური მონიტორინგის პრაქტიკა, ძალიან დიდი წვლილია ქვეყნისთვის ოჯახში და გენდერული ძალადობის აღკვეთის, ძალადობის პრევენციის გზაზე.

ემა კამკია

25.11.16 კამპანია „16 აქტიური დღე“ 10.12.16

ფონდი „სოხუმი“ 2001 წლიდან მონაწილეობს საერთაშორისო კამპანიაში „16 აქტიური დღე ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“. ტრადიციულად ჩაერთო წელსაც ორგანიზაციის ქალთა მხარდაჭერის 6 ცენტრი, ამომრჩეველ ქალთა 8 კლუბი, 4 გენდერული საკონსულტაციო საბჭო, 6 ახალგაზრდული კლუბი, ფორუმ-თეატრი.

24 ნოემბერს კამპანია დაიწყო ფონდში ჩატარებული პრეს-ბრიფინგით. შედეგად - ქუთაისის ყველა მედიასაშუალებამ კამპანიის დღეებში გააშუქა გენდერული ძალადობის საკითხები. რადიო „ძველმა ქალაქმა“ გადაცემების ციკლი მიუძღვნა ამ თემას, ტელეკომპანია „რიონმა“ კი, თემატური სიუჟეტებისა და გადაცემების გარდა, ეთერში ჩაუშვა მის მიერ მომზადებული სოციალური რგოლი, რომელშიც ქალაქში ცნობილი მამაკაცები გმობენ ძალადობას.

25 ნოემბერს, კამპანიის პირველ დღეს, ერთდროულად გაიმართა აქციები ქუთაისში, წყალტუბოში, ხონში, სენაკში, ზუგდიდში, ფოთში, ოზურგეთში, ბათუმში, ხობში. აქციები გაშუქდა მედიით. კამპანიის დღეებში „აჭარის“ არხით გადიოდა ფონდი „სოხუმის“ სოციალური რგოლი.

კამპანიის ფარგლებში ჩატარდა გეგმიური და დამატებითი აქტივობები: 33 სამობილიზაციო შეხვედრაზე ქალაქებსა და სოფლებში მობილიზატორებმა 297 ადამიანს გააცნეს ინფორმაცია კამპანიის და ძალადობის პრევენციის კუთხით ფონდის მუშაობის შესახებ. ახალგაზრდებთან და ქალებთან გაიმართა 6 ვორკშოპი კონფლიქტოლოგიაში - ესწრებოდა 70 ადამიანი. ახალგაზრდულმა კლუბებმა დაგეგმილი 6 შეხვედრის გარდა 30-მდე ინიცირებული ღონისძიება ჩაატარეს - გამოფენები, ვორკშოპები, საინფორმაციო შეხვედრები. ახალგაზრდებმა მოიზიდეს 163 თანატოლი.

კამპანიის დროს გაიმართა ფორუმ-თეატრის 3 წარმოდგენა - მათ 64 მაყურებელი ჰყავდა. იურიდიულ და ფსიქოლოგიურ კონსულტაციებზე აქცენტები გაკეთდა კამპანიაზე და ფონდის ჩართულობაზე - სულ ინფორმაცია მიიღო 156 ქალმა.

3 დეკემბერს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საერთაშორისო დღეს, ქალთა მხარდაჭერის ცენტრების მობილიზატორებმა ჩაატარეს საინფორმაციო შეხვედრები დღის ცენტრ „ვალენტინში“ (ქუთაისი) და ბავშვთა ინკლუზიურ ცენტრში (წყალტუბო). აქციის დღეებში ორი საქველმოქმედო აქცია გაიმართა სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახისთვის.

ქალთა მხარდაჭერის ცენტრებმა დაგეგმილ ღონისძიებებთან ერთად შეიმუშავეს და განახორციელეს თითო მინი პროექტი სპეციალურად კამპანიისთვის. ქუთაისის, ოზურგეთის და სენაკის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრებმა შეხვედრები ჩაატარეს 203 ადამიანის მონაწილეობით.

კამპანიისთვის საგანგებოდ დაიბეჭდა პოსტერები, კალენდრები, საინფორმაციო ფურცლები. წელს კამპანიის სახედ არჩეულ იქნა საკალათბურთო კლუბი „ქუთაისი - 2010“ - 2015-2016 წლების სუპერლიგის გამარჯვებული. ქალთა მხარდაჭერის ცენტრების ინიციატივით, პირველად დაიბეჭდა პოსტერ -კალენდრები ადგილობრივი სპორტსმენების ფოტოებით - რაგბისტთა კლუბი „დინოზავრები“ (წყალტუბო), თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა გუნდი „ფალავანი“ (ფოთი) და 2016 წლის იმერეთის მოყვარულთა ლიგის გამარჯვებული - საფეხბურთო კლუბი „აფხაზეთი“ (ხონი). სპორტსმენების მოწოდებები ძალადობის წინააღმდეგ განსაკუთრებით ეფექტურია, მით უფრო - ახალგაზრდებისთვის.

კამპანიის დასასრულს ქუთაისში გაიმართა მრგვალი მაგიდა, რომელსაც ესწრებოდნენ დასავლეთ საქართველოს 9 მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები. შემუშავდა 20-ზე მეტი რეკომენდაცია გენდერული ძალადობის პრევენციის მიზნით.

ფონდი „სოხუმი“ 25-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობდა საერთაშორისო კამპანიაში WAVE Step up (ქსელის - ევროპელი ქალები ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ - ორგანიზებით). 11-15 დეკემბერს ფონდის წარმომადგენელი ავსტრიაში, ქალაქ ვენაში დაესწრო კამპანიის შედეგების შემაჯამებელ შეხვედრას. მისი პრეზენტაციით, ჩვენ მიერ ჩატარებული კამპანია საუკეთესოდ მიიჩნიეს - ღონისძიებათა სიმრავლით და ადგილობრივი თვითმმართველობის ჩართვის მიხედვით.

კამპანიის დღეებში 128 აქტივობა გაიმართა - უშუალოდ ჩაერთო 2497 ადამიანი, ხოლო ირიბი ბენეფიციარი იყო 100 ათასზე მეტი მაყურებელი, მკითხველი და მსმენელი, რადგანაც სხვადასხვა მედიასაშუალებამ, თავისი ინიციატივით, 50-ზე მეტი მასალა მიუძღვნა ძალადობის პრევენციის თემას.

ქალთა მხარდაჭერის ცენტრების მინი პროექტები

ფოთი

წყალტუბო

სენაკი

ქუთაისი

ხონი

კოკი / ხურჩა

2016 წელი - მუშაობის შედეგები

წარმატებით შესრულდა პროექტის „ქალთა უფლებების გაძლიერება დასავლეთ საქართველოში“ მიზნები და ამოცანები.

ქუთაისის, წყალტუბოს, ხონის, სენაკის, ფოთის და ხურჩა/კოკის (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) ქალთა მხარდაჭერის ცენტრები ხელს უწყობენ ქალთა როლის გაზრდას დასავლეთ საქართველოს 6 მუნიციპალიტეტში.

❒ ჩვენს მუშაობაში ჩართულ ქალთა უმეტესობას შეუძლია საკუთარი თავის და სხვების დახმარება, სხვადასხვა სახის პრობლემების ადვოკატირება და მოგვარება. ეს ქალთა მხარდაჭერის ცენტრების გაწეული მუშაობის შედეგია. 2016 წელს ჩატარებულია: 396 სამობილიზაციო შეხვედრა, 72 საინფორმაციო შეხვედრა ახალგაზრდულ კლუბებში და ახალგაზრდების მიერ ინიცირებული 42 აქტივობა, 5 საქველმოქმედო აქცია, 72 ვორკშოპი კონფლიქტოლოგიაში ქალებთან და ახალგაზრდების ჯგუფებთან, ფორუმ-თეატრის 38 წარმოდგენა, 72 შეხვედრა ფსიქოლოგთან და 72 იურიდიული შეხვედრა, 3 შეხვედრა - გინეკოლოგ-რეპროდუქტოლოგთან, ქუთაისში 144 საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა ფსიქოლოგთან და 144 - იურისტთან. იდენტიფიცირებულია 3 ძალადობის მსხვერპლი და, სათანადო დოკუმენტების მომზადების შემდეგ, 2 განთავსებულია თავშესაფარში.

❒ ჩატარდა კვლევა ძალადობის ფსიქოსოციალური ასპექტების საკითხებზე - შეივსო 700 ანკეტა.

❒ მობილიზატორებისთვის მოეწყო ტრენინგი და ვორკშოპები, მათ დამოუკიდებლად შეიმუშავეს და განახორციელეს 11 პროექტი.

❒ შემუშავდა და შესაბამის უწყებებს გაეგზავნა რეკომენდაციები „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების კანონის“ ეფექტური ამოქმედების მიზნით - კანონის მონიტორინგის ფარგლებში წლის განმავლობაში ჩატარდა 19 ჩაღრმავებული ინტერვიუ, 2 გამოკითხვა და 20 ფოკუს-ჯგუფი.

❒ კამპანიაში „16 აქტიური დღე ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“ ჩაერთო ფონდი „სოხუმის“ ყველა რგოლი და ჩატარდა 128 ღონისძიება.

❒ ფონდი პარალელურად მონაწილეობდა საერთაშორისო კამპანიაში WAVE Step up. ფონდის წარმომადგენლები ესწრებოდნენ საერთაშორისო კონფერენციას ბერლინში და კამპანიის შემაჯამებელ ღონისძიებას ვენაში (ქსელის „ევროპელი ქალები ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“ ორგანიზებით).

❒ წლის განმავლობაში ფონდი „სოხუმის“ ვებგვერდზე განთავსდა 2500-ზე მეტი ინფორმაცია პროექტის ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ.

საპროექტო არეალის 6 ქალაქში გაძლიერებულია ოჯახში ძალადობის პრევენციული ზომები და ქალთა უფლებების დაცვა

❒ ფონდი „სოხუმის“ აქტიური საინფორმაციო მუშაობის შედეგად საზოგადოება უფრო ტოლერანტულია მსხვერპლის და უფრო შეურიგებელი - მოძალადის მიმართ.

❒ ადგილობრივი თვითმმართველობა არა მარტო გრძნობს თავის მნიშვნელოვან როლს ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საქმეში, არამედ გამოყოფს საბიუჯეტო სახსრებს ძალადობის პრევენციისა და მსხვერპლის დაცვისთვის და აქტიურად ნერგავს ადგილობრივ გენდერულ პოლიტიკას. ეს არის წლების განმავლობაში ადგილობრივი სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებთან მუდმივი მუშაობის, მრგვალი მაგიდების და ტრენინგების ციკლის შედეგი (ასეთი ტრენინგი 2016 წელსაც მოეწყო ბორჯომში).

განვლილმა წელმა წარმოაჩინა ფონდი „სოხუმის“ ყველა რგოლის შეთანხმებული მუშაობა, ძლიერი პარტნიორული კავშირები, სახელმწიფო სტრუქტურებთან და მასმედიასთან თანამშრომლობის შედეგები. ასე ნაყოფიერად დასრულდა საპროექტო ვადის მეორე წელიწადი. ფონდი „სოხუმის“ მთელი გუნდი დარწმუნებულია, რომ მომავალ წელს მიღწევები კიდევ უფრო თვალსაჩინო იქნება.

ჩვენ ვგმობთ ძალადობას!
2017

გავერთიანდეთ
ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ!
2017

გავერთიანდეთ
ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ!
2017

საინფორმაციო ფურცელი — 2016 წელი
ქალბატონ-კეთილისმყოფელი
ფონდი „სოხუმი"
www.fsokhumi.ge
25 ნოემბერი - 10 დეკემბერი
საერთაშორისო კამპანია „16 აქტიური დღე
ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ"
ეს ოჯახური საქმეა, ვიცით ეს ყველამ!
112
2 309 903
1481
(431) 27 29 02
STOP
ქალთა მიმართ ძალადობას!!!

საინფორმაციო ფურცელი — 2016 წელი
გავერთიანდეთ
ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ!
ეს ისტორია ერთ-ერთია მრავალთაგან
ეს არ მოხდებოდა:

ფოთი

სენაკი

25.11 2016

ზუგდიდი

ხონი
TOGETHER - AGAINST VOLENCE AGAINST WOMEN

წყალტუბო